გაზეთი ზიურის, „ვერსიას" ერთი

ვერსია

№28 (1669) 2 — 8 აგვისტო ოთხშაბათი 2023 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.versia.ge

რას გულისხმობს საქართველო-ჩინეთს შორის სტრატეგიული პარტნიორობა

რას ვყიდულობთ და რას ვყიდით ჩინეთში?

გია ხუხაშვილი: „ძალიან ცუდი დღე ელით ვიღაც-ვიღაცებს“

შეძლებს თუ არა მიხეილ სააკაშვილი ენმ-ს გადარჩენას და რატომაა გიორგი ვაშაძის პრემიერობის კანდიდატობა სასაცილო

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

მამუკა არეშიძე: „პროვოკაციული ნაბიჯია!“

რა საფრთხეს უქმნის რუსული საკრუიზო გემი საქართველოს და რა ხდება ოკუპირებულ აფხაზეთში

რატომ ვერ ახერხებს ოპოზიცია გაერთიანებას

ვინ დაგვწყევლა ანუ ქვა, რომელიც აღმართში დაგვეწია

რას გულისხმობს საქართველო-ჩინეთს შორის სტრატეგიული პარტნიორობა

მაკა რუხაძე

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ჩინეთში ვიზიტი საკმაოდ წარმატებით მიმდინარეობს. ჩინეთის პრეზიდენტთან, სი ძინპინთან შეხვედრის შემდეგ, ორი ქვეყნის ურთიერთობა „სტრატეგიული პარტნიორობის დონემდე ამაღლდა“, რაც ირაკლი ღარიბაშვილის შეფასებით, მართლაც ისტორიული მოვლენაა და საქართველოს ეკონომიკურ სარგებელსაც მოუტანს. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული პარტნიორობის დამყარების შესახებ ერთობლივი განცხადება უკვე გამოაქვეყნა. აქვე ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ჩინეთთანაც და ევროკავშირთანაც. სხვათა შორის, ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის პრივილეგიით საკმაოდ ცოტა სახელმწიფო სარგებლობს და მართლაც მნიშნელოვანია, რომ საქართველო ამ იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს.

რას ვყიდულობთ და რას ვყიდით ჩინეთში?

„ვერსია“ უცვლელად გთავაზობთ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ ერთობლივ განცხადებას, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და საქართველოს შორის სტრატეგიულ პარტნიორობას ეხება. განცხადების თანახმად, ჩინეთსა და საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის დამყარება გულისხმობს:

პოლიტიკური განზომილება

1.1. მხარეები ადასტურებენ პატივისცემას ყველა ქვეყნის სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი. საქართველო მტკიცედ ემხრობა ერთიანი ჩინეთის პრინციპს.

1.2. მხარეები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ არსებული საერთაშორისო მდგომარეობისა და ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში, ჩინეთსა და საქართველოს შორის არსებული ორმხრივი კავშირების მნიშვნელობამ საგრძნობლად იმატა. მხარეები ერთმანეთს მიიჩნევენ მნიშვნელოვან სტრატეგიულ პარტნიორებად, ხოლო ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებას თავიანთი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად მიიჩნევენ.

1.3. საქართველოს სწამს, რომ ჩინეთის მოდერნიზაცია ახალ გზას და ახალ არჩევანს სთავაზობს კაცობრიობას მოდერნიზაციის მისაღწევად. მხარეები გამოთქვამენ მზაობას მმართველობის სფეროში არსებული გამოცდილების გაცვლის კუთხით, საერთო განვითარებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

1.4. მხარეები მზად არიან გააძლიერონ მაღალი დონის პოლიტიკური კონსულტაციები საერთო ინტერესების მქონე საკითხებზე და გაამყარონ სტრატეგიული ურთიერთნდობა.

1.5. მხარეები ხაზს უსვამენ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს, ისევე როგორც პოლიტიკურ ჯგუფებსა და პარტიებს შორის კავშირების გაფართოების აუცილებლობას, რათა მოხდეს გამოცდილების გაზიარება და ურთიერთობის გამყარება სხვადასხვა მიმართულებით.

1.6. ორმხრივი ურთიერთობების გაფართოებისა და განვითარების მიმართულებით ჩინეთისა და საქართველოს საკანონმდებლო ორგანოებს შორის თანამშრომლობის მნიშვნელოვანი როლის გათვალისწინებით, მხარეები ხაზს უსვამენ ორი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოებს შორის ურთიერთობისა და თანამშრომლობის გაძლიერების მნიშვნელობას მრავალი მიმართულებით და სხვადასხვა დონეზე, ისევე როგორც კომუნიკაციისა და კონსულტაციების მნიშვნელობას შესაბამის რეგიონალურ და საერთაშორისო ორგანიზაციებში.

ეკონომიკური განზომილება

2.1. მხარეები მიესალმებიან ბოლო წლებში ორმხრივი ვაჭრობის მდგრად ზრდას და გამოხატავენ მზაობას მის შემდგომ მატებასთან მიმართებით, მისი სტრუქტურის ოპტიმიზაციასთან, სასაქონლო ნომენკლატურის გაფართოებასთან, საქართველოდან ჩინეთის მიმართულებით საქონლისა და მომსახურების ექსპორტის ზრდასთან დაკავშირებით.

2.2. საქართველო მიესალმება ჩინეთის მიერ შემოთავაზებული „სარტყელისა და გზის” ინიციატივას. მხარეებმა ხელი მოაწერეს დოკუმენტებს, მათ შორის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და საქართველოს მთავრობებს შორის ორმხრივი თანამშრომლობის გეგმას ხსენებული ინიციატივის ფარგლებში, რათა თანამშრომლობა მეტი ძალითა და შესაძლებლობებით წარიმართოს. მხარეები გააძლიერებენ დარგობრივი პოლიტიკის სფეროში კოორდინაციასა და განვითარებაზე ორიენტირებული გეგმების სინერგიას ხსენებული ინიციატივის ფარგლებში; გააღრმავებენ ურთიერთობასა და თანამშრომლობას სხვადასხვა სფეროში; მიემხრობიან კონსულტაციებისა და თანამშრომლობის პრინციპს საერთო სარგებლის მისაღებად; ხელს შეუწყობენ ღია, მწვანე და სუფთა თანამშრომლობას „სარტყელისა და გზის” ინიციატივის მიზნების რეალიზებისთვის და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

2.3. მხარეები გამოთქვამენ მზადყოფნას ხელი შეუწყონ ორმხრივ ინვესტიციებსა და ვაჭრობას; მხარეები მოახდენენ თანამშრომლობის სტიმულირებას ტრანსპორტის, კომუნიკაციების, ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის, შუა დერეფნის განვითარებისა და გაძლიერების, ციფრული ტექნოლოგიების, წარმოების, სარკინიგზო ქსელების განახლებისა და განვითარების, სოფლის მეურნეობისა და სურსათის უვნებლობის, წყლის რესურსების, გარემოს დაცვის, გაუდაბნოებასთან ბრძოლის, წყლის დემინერალიზაციის, სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების, დასავლეთის სამომხმარებლო ბაზრების მიმართულებით ჩინური პროდუქციის შეუფერხებელი ექსპორტისთვის საქართველოს სატრანზიტო ინფრასტრუქტურის გამოყენების, ტექნოლოგიური მიღწევებისა და ნოუ-ჰაუს გაზიარების, საკადრო რესურსების გადამზადების მიზნით.

2.4. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და საქართველო 2018 წლიდან იღებენ სარგებელს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებიდან, რამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების განვითარების სფეროში. ქვეყნები გააგრძელებენ თანამშრომლობის გაღრმავებას ხსენებული შეთანხმების ფარგლებში; ურთიერთ-ხელსაყრელი შედეგების მისაღებად მხარს დაუჭერენ ეკონომიკურ და სავაჭრო ურთიერთობებს ჩინეთისა და საქართველოს საჯარო და კერძო სექტორის სუბიექტებს შორის; აქტიურად მოხდება ხსენებული შეთანხმების გაუმჯობესების შესაძლებლობების გამოყენება.

2.5. მხარეები გამოხატავენ მზაობას ჩინეთ-საქართველოს ეკონომიკური და სავაჭრო თანამშრომლობის კომისიის შემდეგი სხდომის ჩასატარებლად, რათა გაძლიერდეს ინფორმაციის გაზიარება ვაჭრობის, ინვესტიციების, ინფრასტრუქტურისა და სხვა მიმართულებით თანამშრომლობის მიზნით ხსენებული კომისიის ფორმატში, რაც გააძლიერებს ორმხრივი ურთიერთობების ხარისხსა და ეფექტურობას.

2.6. ჩინეთი მიესალმება საქართველოს აქტიურ მონაწილეობას ჩინეთის იმპორტის საერთაშორისო გამოფენაში. ჩინეთი მხარს უჭერს ქართულ საწარმოებს ჩინეთის ელექტრონული ვაჭრობის პლატფორმებზე საქონლის რეალიზაციის მიზნით.

2.7. მხარეები გამოხატავენ მზაობას ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის გასააქტიურებლად, რათა მოხდეს დარგის საერთო განვითარება. ჩინეთი მიესალმება საქართველოს მონაწილეობას ისეთ ტურისტულ გამოფენებში, როგორიცაა ჩინეთის ყოველწლიური საერთაშორისო ტურისტული ბაზარი.

2.8. ჩინეთი მხარს უჭერს და ხაზს უსვამს თბილისში აბრეშუმის გზის მე-4 ფორუმის მნიშვნელობას, რომლის თემა გახლავთ „დღევანდელი დაკავშირებულობა, ხვალინდელი მდგრადობისთვის” და რომელიც 2023 წლის 26-27 ოქტომბერს გაიმართება ქ. თბილისში.

2.9. ჩინეთსა და ევროპის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ქვეყნებს შორის თანამშრომლობას საქართველო მიიჩნევს პრაგმატულ, ღია და ურთიერთ-სასარგებლო რეგიონალური თანამშრომლობის პლატფორმად. ჩინეთი მიესალმება საქართველოს ინტერესს ამ თანამშრომლობის მექანიზმში ჩაერთოს დამკვირვებლის რანგში.

დასასრული მე-6 გვერდზე

რატომ ვერ ახერხებს ოპოზიცია გაერთიანებას

ნინო დოლიძე

დროც იცვლება და სამყაროც. ბოლოს და ბოლოს, თანამედროვე მსოფლიომ კოვიდპანდემია გადაიტანა და ცხოვრებაც ისეთი აღარ არის, როგორიც კორონამდე იყო, თუმცა როგორც ერთ ქართულ ლექსშია, იგივე მარად და მარად მხოლოდ ქართული ოპოზიციაა. დიახ, ქალბატონებო და ბატონებო, მეორედ მოსვლაც რომ იყოს, ჩვენებურ ოპოზიციონერებს მაინც არაფერი ეშველებათ. რატომ? – თუ ამ პატარა სტატიას ბოლომდე წაიკითხავთ, ზემოხსენებულ რიტორიკულ კითხვაზეც პასუხს მიიღებთ.

ვინ დაგვწყევლა ანუ ქვა, რომელიც აღმართში დაგვეწია

ერთი სიტყვით, ოპოზიცია რომ არ გვივარგა, ეს მარტივი ჭეშმარიტებაა და ეს „უვარგისობის თეორემა“ მარტო ამჟამინდელ კი არა, ყველა ოპოზიციაზე, ასე ვთქვათ, ვრცელდება, რომელიც ბოლო 30 წლის განმავლობაში, ქვეყანაში ყოფილა.

ზოგადად, დემოკრატიის განვითარებისა და ნორმალური, ცივილური საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად ოპოზიცია ერთ-ერთი უმთავრესი რგოლია, რადგან ის ხელისუფლებას უმისამართოდ კი არ აკრიტიკებს, არამედ, ქვეყნის განვითარების არსებით საკითხებზე საკუთარ მოსაზრებებს, ხედვებს სთავაზობს და ყველაფერს აკეთებს, რომ საკუთარი წინადადებების უპირატესობა დაამტკიცოს.

ჩვენთან კი რა ხდება? – ქართული ოპოზიცია ხელისუფლებას უსაგნო პინგ-პონგს ეთამაშება. უფრო მეტიც, ოპოზიციოონერები ერთმანეთსაც არ ინდობენ და მის მაგივრად, რომ ვთქვათ, ერთ მუშტად შეიკრან და მომავალ არჩევნებში გამარჯვებისთვის იბრძოლონ, ერთურთს ლამის დედას აგინებენ.

არადა, ისტორია და გამოცდილებაც ცხადჰყოფს, რომ ნებისმიერი ხელისუფლების შეცვლა ან რეიტინგულ ოპოზიციურ პარტიას შეუძლია, ან გაერთიანებულ ოპოზიციას.

საქართველოში ოპოზიციამ გაერთიანება რამდენჯერმე მოახერხა და შედეგიც დადო. ბოლოს და ბოლოს, ზვიად გამსახურდიას „მრგვალმა მაგიდამ“ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, კომუნისტების დამარცხება შეძლო.

ახლა, შესაძლოა, ვინმემ თქვას, მაშინ სხვა დრო იყო და ხალხს დამოუკიდებლობა უნდოდადო. კი ბატონო, მაგრამ მხოლოდ ხალხის სურვილი და მუხტი კომუნისტებს ვერ დაამარცხებდა. ყოველ შემთხვევაში, ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ზვიად გამსახურდიას წარმატების ერთ-ერთი საიდუმლო სწორედ საარჩევნო ბლოკის შექმნა იყო.

მართალია, „მრგვალ მაგიდას“ ეროვნული მოძრაობის რამდენიმე ლიდერი გაემიჯნა და დამოუკიდებელი თამაში დაიწყო, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება – „მრგვალმა მაგიდამ“ კომუნისტური პარტია პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში დაამარცხა, თუმცა აქ გადამწყვეტი როლი, რა თქმა უნდა, ზვიად გამსახურდიას, როგორც ქარიზმატული ლიდერის ფაქტორსაც ჰქონდა.

ოპოზიციის კიდევ ერთი გაერთიანება 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ვიხილეთ. მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ ოპოზიცია „წერტილოვან დარტყმებს“ მთელი ცხრა წელი ანხორციელებდა. რამდეჯერმე, რამდენიმე პარტიამ თითქოს საერთო ინტერესიც გამოხატა და იგივე ე.წ. გაერთიანებული ოპოზიცია შეიქმნა, რომელსაც, სხვათა შორის, გაერთიანებული საპრეზიდენტო კანდიდატიც ჰყავდა ლევან გაჩეჩილაზის სახით, მაგრამ შედეგი?

შედეგი არ დადგა, რადგან ამ „გაერთიანებულ ოპოზიციაში“ ლიდერები ერთმანეთს ღიად თუ არ ჭამდნენ, ერთმანეთს ძირს ზურგს უკან უთხრიდნენ და იგივე მედიას ძალიან ბევრ კულუარულ ინფორმაციას აწვდიდნენ.

ამასთან, 2012 წლამდე შექმნილ, სააკაშვილის მოწინააღმდეგეთა არც ერთ ბანაკს ქარიზმატული კი არა, ჩვეულებრივი ლიდერიც კი არ ჰყავდა, რომელსაც ხალხი უსიტყვოდ ენდობოდა.

აი, 2011 წელს ანუ საპარლამენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, პოლიტიკურ ავანსცენაზე ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა, რომლის შესახებაც საზოგადოების აბსოლუტურ უმრავლესობას პოზიტიური განწყობა ჰქონდა, რამაც „ოცნების“ გამარჯვებაში, რასაკვირველია, გადამწყვეტი როლი შეასრულა.

გარდა ამისა, ივანიშვილმა ჭკვიანური პოლიტიკური ნაბიჯი გადადგა, მიხეილ სააკაშვილთან დაპირისპირებული ყველა, ან თითქმის ყველა გვერდით დაიყენა. შესაბამისად, შეიქმნა ერთ დიდი და ძლიერი „ანტინაცური“ კოალიცია, რომელმაც ის შედეგი დადო, რომელიც დადო.

2012 წლის შემდეგ, 11 წელი გავიდა და ამ ხნის განმავლობაში, „ოცნების“ ოპოზიციამ გაერთიანება არაერთხელ სცადა. ამ მხრივ, ყველაზე გამორჩეული ე.წ. ლეიბორისტების ფანჩატური იყო, თუმცა შედეგი? შედეგი – ნული.

რატომ?

იმიტომ, რომ ჯერ ერთი, ყველა ოპოზიცონერი ლიდერი, რომელიც „შალიკოს ფანჩატურს“ სტუმრობდა, ხალხში მაინცდამაინც დიდი სიმპათიით არ სარგებლობდა.

პარალელურად, მოსახლეობას ჰქონდა და აქვს „ნაციონალების“ დაბრუნების შიში. აი, სწორედ ეს არის გადამწყვეტი იმაში, რომ ოპოზიცია გამარჯვებას ვერ აღწევს.

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე წელიწადზე ოდნავ მეტია დარჩენილი. ეს დრო, შეიძლება, რეალურ ცხოვრებაში არის დიდი, მაგრამ პოლიტიკისთვის წამია. შესაბამისად, ოპოზიციამ ახლავე დაიწყო გაერთიანებაზე ფიქრი და ზრუნვა, თუმცა ისევ გაჩნდა ენმ-ს პრობლემა ანუ ყოფილი მმართველი პარტია ამბობს, მე ყველაზე მრავალრიცხოვანი ვარ და გაერთიანებაც ჩემს გარშემო უნდა მოხდესო, თუმცა ენმ-ს ამ იმპერატიულ მოთხოვნას მხოლოდ გიორგი ვაშაძე გამოეხმაურა – ენმ-სთან ერთად, ე.წ. გამარჯვების პლატფორმა გააფორმა.

მართალია, ვაშაძე, რაღაცნაირად, ახალი ყაიდის პოლიტიკური ლიდერია, მაგრამ სიმართლე რომ ვთქვათ, ხალხს მის მიმართ სენსიტიური გრძნობები მაინცდამაინც არ აქვს.

გარდა ამისა, ვაშაძეც ექსნაცია, შესაბამისად, არსებობს ასეთი შეფასებაც, რომ „ნაცის“ „ნაცთან“ შერწყმით, არაფრი შეიცვლება.

ღელო, იგივე ზურაბ ჯაფარიძის გირჩი, ელენე ხოშტარიას დროა და სხვები „ნაცებთან“ შეკვრას არ აპირებენ ანუ გამოდის, რომ საარჩევნოდ პოლიტიკური ველი ისევ ორპოლუსიანი იქნება და რა თქმა უნდა, ამ მოცემულობით ხელისუფლება პოზიციებს შეინარჩუნებს.

ახლა კი, რაც შეეხება სტატიის დასაწყისში დასმულ რიტორიკულ კითხვას – რატომ ვერ ახერხებს ოპოზიცია გაერთიანებას?

იმიტომ ვერ ახერხებს, რომ ზერელე შეფასებით, ოპოზიციონერებს მხოლოდ ლაი-ლაი გამოსდით ანუ ისინი საზოგადოებას რეალურ საარჩევნო პროგრამას არ, თუ ვერ სთავაზობენ.

გასაგებია, რომ რუსეთი ოკუპანტია და ამას საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა აღიარებს, მაგრამ მარტო იმის ძახილი, რუსი მოდის, რუსი მოდისო, ოპოზიციას საარჩენო დივიდენდებს ვერ მოუტანს, თანაც ოპოზიცონერებს ანატირუსული კამპანიის გარდა, საერთო არაფერი აქვთ და, აბა, რომელ გამარჯვებაზეა საუბარი?

ისე, ალბათ, ისიც საქართველოსა და თოთოეული ჩვენგანის ბედისწერაა, რომ ისეთი ოპოზიცია გყვავს, როგორიც გყვავს.

აი, ამაზეა ნათქვამი, წაქცეულ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო...

იმედია, ოდესმე, ფეხზე დავდგებით და ისეთი ოპოზიცია გვეყოლება, რომელიც ქვას აგვარიდებს...

მამუკა არეშიძე: „პროვოკაციული ნაბიჯია!“

რა საფრთხეს უქმნის რუსული საკრუიზო გემი საქართველოს და რა ხდება ოკუპირებულ აფხაზეთში

თათია გოჩაძე
598-43-50-34

სოხუმის აეროპორტი 49 წლით რუსეთის მართვაში გადადის. აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პარლამენტმა მხარი დაუჭირა მოსკოვსა და სოხუმს შორის ე.წ. მთავრობათაშორისი შეთანხმების რატიფიკაციას, რის საფუძველზეც რუსული კომპანიები 49 წლის განმავლობაში მართავენ სოხუმის ბაბუშარის აეროპორტს... ამ საკითხსა და რუსეთ-უკრაინის ომზე „ვერსია“ ანალიტიკოს მამუკა არეშიძეს ესაუბრა:

– ბოლო დროის განმავლობაში, აფხაზებს აიძულებენ, ნაბიჯ-ნაბიჯ დათმონ ის, რასაც აქამდე არ თმობდნენ. აეროპორტის ისტორია ასეთი იყო: ასეთი ტიპის ტოკუმენტს არაერთხელ მოეწერა ხელი, რომ უნდა განახლებულიყო, მაგრამ არაფერი გამოდიოდა, რადგან აფხაზები არ თმობდნენ ძირითად პრინციპს – აეროპორტი არ უნდა ყოფილიყო ვინმე სხვის მფლობელობაში, გარდა „აფხაზური სახელმწიფოსი“...

თბილისისა და ბათუმის აეროპორტები არის კომპანია „ტავ“-ის ხელში, გარკვეული ვადით, რაც იწვევს სერიოზულ დისკომფორტს. ეს იყო უზარმაზარი შეცდომა, რომელიც წინა ხელისუფლებამ დაუშვა და როგორც ამბობენ, ამის უკან თემურ ალასანია იდგა. ამის მტკიცება არ შემიძლია, თუმცა ამან ერთი დადებითი მოვლენა მოიტანა – კოპიტნარის აეროპორტის განვითარებას შეუწყო ხელი, რადგან ის სახელმწიფოს საკუთრებაა. მოკლედ, დაახლოებით, ასეთი რამის გაკეთება აფხაზეთში არ უნდოდათ, თუმცა გავითვალისწინოთ, რომ თბილისისა და ბათუმის აეროპორტები მაინც კერძო კომპანიის ხელშია, სოხუმის აეროპორტი კი პირდაპირ რუსეთის ხელში გადადიოდა. ახლა, საბოლოო ჯამში, ზუსტად ეს მოხდა – პრაქტიკულად, გადავიდა რუსეთის კონტროლქვეშ და ეს იქნება რუსეთის შიდა აეროპორტი.

ის, რომ რუსეთი ერთი ხელით ცდილობს საქართველოსთან ურთიერთობის მოგვარებას და მეორე ხელით ამას აკეთებს, ეს არ უნდა გაგვიკვირდეს და ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ, რადგან რუსეთის მხრიდან არაერთხელ გვინახავს ვერაგული ნაბიჯი, მოტყუება და ა.შ. ასე რომ, გასაოცარი და განსაკუთრებელი არაფერი მომხდარა ცუდის კეთების თვალსაზრისით, ამას მიჩვეულები ვართ.

აქ არის ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი – სოხუმის აეროპორტს „იკაო“ არასდროს მისცემს საერთაშორისო ფრენების უფლებას. ის თვითმფრინავებიც კი, რომლებიც მასზე სარეისო ფრენებს განახორციელებენ, გარკვეული სანქციების ქვეშ მოექცევიან. აქედან გამომდინარე, არ ვიცი, როგორ უნდა იფუნქციონეროს ამ აეროპორტმა. შეიძლება, ჩარტერული ფრენები იყოს, მოკლედ, რაღაც სქემას მოიფიქრებენ, თუ გაკეთდა ეს აეროპორტი, მაგრამ აფხაზები მაინც უკმაყოფილონი არიან. აეროპორტთან დაკავშირებული ეს საკითხი და უკან დახევა ერთ-ერთია იმ ნაბიჯებიდან, რომელსაც აფხაზური დე ფაქტო ხელისუფლება დგამს. ამას იმით ამართლებს, რომ აფხაზეთის ეკონომიკის განვითარებისთვის საჭიროა სერიოზული შემოსავალიო. ოღონდ, ნაწილობრივ ტყუიან, რადგან აეროპორტის ამუშავების შემთხვევაში, ძირითადი მოგება და შემოსავალი წავა ინვესტორის ჯიბეში.

– არაერთხელ გითქვამთ, რომ აფხაზებს არ სურთ რუსეთისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ობიექტების დათმობა, ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისგან გასხვავებით, მაგრამ საბოლოო ჯამში, აფხაზეთში რუსეთი მაინც იმას იღებს, რაც უნდა და თქვენი აზრით, სად გადის წითელი ხაზი, რა დროსაც აფხაზები რუსეთს თავისას არ გაატანინებენ?

– აფხაზების ახლანდელი ფათი-ფუთი ჭიქაში ქარიშხალს ჰგავს და სასაცილოდ გამოიყურება, რადგან აფხაზებმა დათმეს ყველაფერი, რისი დათმობაც შეიძლებოდა, მაგალითად, კანონმდებლობის თვალსაზრისით, თავდაცვის, ფინანსური სისტემის თვალსაზრისით და ა.შ. როცა მიწაზე მიდგება საუბარი, მაშინ გაახსენდებათ, რომ ვითომ დამოუკიდებელი სახელმწიფო აქვთ. სხვა შემთხვევაში, ძალიან კარგად იღებენ მოსკოვისგან გადადგმულ ნაბიჯებს, რადგან იქიდან შემოსავალი აქვთ.

– რით ამართლებს აფხაზური მხარე სოხუმის აეროპორტის რუსეთისთვის გადაცემას?

– იმით ამართლებენ, რომ 75%-ით დამოკიდებულები არიან მოსკოვიდან ტრანშებზე და ეს თანხა, ძირითადად, სოციალური საჭიროებისა და ინფრასტრუქტურისთვისაა. წარმოებისა და ეკონომიკის განვითარებისთვის კი არ არსებობს თანხები – ამას ღიად ამბობენ და ხალხს უხსნიან, რომ სხვანაირად არ გამოვა, საჭიროა, რაღაც დათმობებზე წასვლა. სინამდვილეში, აქაც ცრუობენ, რადგან აქ სხვა გარემოებაცაა – რუსეთი აფხაზური ეკონომიკის განვითარებაში თანხას შეგნებულად არ დებს იმიტომ, რომ აფხაზების ხასიათი კარგად იცის და არ უნდა, იმაზე მეტი მოინდომონ, ვიდრე დღეს არიან. მოსკოვის პოლიტიკა ასეთია არა მხოლოდ აფხაზეთის, არამედ, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების მიმართაც, რომ მაქსიმალურად მიბმულები იყვნენ „ცენტრზე“.

– ბატონო მამუკა, სოჭიდან ბათუმში შემოსულ საკრუიზო გემზეც უნდა გკითხოთ – ხომ არ ფიქრობთ, რომ რუსეთის მხრიდან, ეს კიდევ ერთი პროვოკაციული ნაბიჯია?

– მე თუ მკითხავთ, ფრენების აღდგენაც პროვოკაციული ნაბიჯია. რაც შეეხება საფრთხეს, ეს უკვე ძალიან გაზვიადებულად მეჩვენება. საფრთხე მომდინარეობს, ზოგადად, ვითარებიდან, მათ შორის, რუსეთთან ურთიერთობებიდან. აქ ყველაფერი საფრთხის შემცველია და ყველაფერი ეჭვიანობის საფუძველს გვაძლევს.

გემზე, რომელიც სხვისი დროშის ქვეშ ცურავს და თურქეთის ფირმის მიერაა დაქირავებული, ასეთი რეაქციის მიცემაზე მეცინება. ხშირად ჩვენ ვამჩნევთ თაგვს და ვერ ვამჩნევთ სპილოს, სხვათა შორის, ეს პატარა ერების თვისებაა. მაგრამ ამ შემთხვევაში არ მინდა, რომ ქართველი ერი დავაკნინო ან დავამცირო, რადგან ძალიან ცნობილი ფრაზაა: „ხალხისგან ბრბოს შექმნი, თუ საზოგადოებას ჩამოაყალიბებ, ეს ყოველთვის ხელისუფლებაზეა დამოკიდებული“.

ჩვენი ხელისუფლების ამოცანაც ეს უნდა იყოს, რომ საზოგადოების ჩამოყალიბებას შეუწყოს ხელი, მით უმეტეს, პოსტსაბჭოთა სივრცეში. როცა ამას არ აკეთებ, მიშვებული გყავს თვითდინებაზე, საზოგადოებას არ აქვს სწორი ორიენტირები, სწორად არაა ინფორმირებული, სწორი იდეოლოგია არ არსებობს ქვეყანაში, ვიღებთ ამ შედეგს – რეაგირებას უმნიშვნელო საკითხებზე. ხიფათი კი სხვა სიბრტყეშია და ბევრად უფრო მნიშვნელოვანია.

– ბატონო მამუკა, რუსეთისგან მომავალ საფრთხეებზე საუბრობთ და გკითხავთ – რა მდგომარეობაშია ახლა პუტინის რეჟიმი? თუ გავითვალისწინებთ უკრაინის მიერ, რუსეთზე „დრონებით“, ფრაგმენტულ შეტევებს და ბოლო დროს მომხდარ მნიშვნელოვან ფაქტს, პრიგოჟინის მოსკოვისკენ ტანკებით „გასეირნებას“...

– რაც შეეხება პრიგოჟინის დემარშს, ეს იყო აქცია თეატრალური ელემენტებით და ვერავინ დამარწმუნებს, რომ ეს შემთხვევითობა იყო, სულის ამოძახილი და გადაწყვეტილება, რომელიც პრიგოჟინმა დამოუკიდებლად მიიღო. სხვათა შორის, სუროვიკინის და კიდევ 11 გენერლის გაქრობა თავდაცვის სტრუქტურებიდან მოწმობს, რომ რაღაც სხვა ხდებოდა. არ გამოვრიცხავ, რომ იცოდნენ უკმაყოფილება პრიგოჟინის და მისი მხარდამჭერებისა და ამის პროვოცირება მოახდინეს, რათა ემუშავა პრინციპს – „სადაც ვიწროა, იქ გაწყდეს“.

– და ვინ მოახდენდა ამის პროვოცირებას?

– არ არის გამორიცხული, რომ ხელისუფლებას ან სპეცსამსახურებს, რადგან უაღრესად არაჯანსაღი ვითარებაა დღეს მოსკოვში. სხვათა შორის, ჩემდა გასაკვირად, ჩემი რუსი კოლეგები ტელეფონშიც კი არ ერიდებიან ასეთი ტიპის შეფასებებს, რომ მაგალითად, რუსეთი გაყიდულია. ცალი თვალით რომ გადახედო, საქმეში ჩაუხედავი ადამიანიც კი გაკვირვებული დარჩება რუსი ექსპერტების მიერ, ერთი და იგივე კითხვის დასმით პრესაში – „რატომ არ იბომბება უკრაინის საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, საიდანაც შედის იარაღი და ხდება ფრონტის კვება შეიარაღებული ნაწილებით?“ თვითონ მოსკოვში, უაღრესად სერიოზული დაპირისპირებაა სახელისუფლებო სტრუქტურებს შორის. პრაქტიკულად, როგორც ჩანს, პუტინი კბილებით ინარჩუნებს დღეს ვითარებას, რომელიც დაშლის პერსპექტივას აჩენს.

რომ გითხრათ, უკრაინის ხელისუფლებაშია ყველაფერი რიგზე-მეთქი, ასე არაა და ძალიან იჩინა თავი ბოლო დროს იარაღის გაყიდვის ფაქტებმა, კორუფციამ და ა.შ.

რაც შეეხება ომის ვითარებას – გარკვეული პარიტეტი არსებობს. ბევრად უფრო მაღალი ტექნოლოგიური იარაღი აქვს უკრაინას, მაგრამ შედარებით ნაკლები. უკრაინას მოტივაცია მეტი აქვს და კიდევ ერთი რამ, რასაც ყურადღება ნაკლებად ექცევა – ეს არის ძალიან მაღალ დონეზე გაწვრთნილი მოიერიშე ჯგუფები. ეს უკრაინის ერთგვარი „ნოუ-ჰაუა“, რომელიც დასავლელ კოლეგებთან ერთად შექმნეს.

– რაზეც თქვენ საუბრობთ, ეს უპირატესობები მიუთითებს უკრაინის მოსალოდნელ გამარჯვებაზე...

– ვერ გეტყვით ამას, რადგან უკრაინელებს მაქსიმალური რესურსი ჰყავთ გამოყვანილი ფრონტზე, რუსეთს კი ბევრად მეტი რესურსი აქვს. თუ გავითვალისწინებთ, რომ კატასტროფული განსხვავება არაა საბრძოლო ტექნიკაში და რუსული სამხედრო მანქანა ჯერ არაა დაცლილი მოტივაციისგან...

– სხვათა შორის, პუტინმა ცოტა ხნის წინ განაცხადა, ნატო-სთან ომის დაწყებას არ ვაპირებთ, მაგრამ თუ ნატ-ო დაიწყებს, ჩვენ ამისთვის მზად ვართო... თან 2024 წლის არჩევნებში ხმების 80%-ს ელოდება... როგორ ფიქრობთ, ეს მოლოდინი რეალურია?

– რასაკვირველია, აირჩევენ, რადგან ეროვნული რესპუბლიკებისგან განსხვავებით, თვითონ რუსეთში მოახერხა პლებსის კონსოლიდაცია თავისი პერსონის გარშემო. პლებსი, რომელსაც სატელევიზიო საზოგადოება დავარქვათ, არიან პუტინის მომხრე და ესაა აქტიური ამომრჩეველი.

დღევანდელი გადასახედიდანაა ასე, თუმცა რა მოხდება არჩევნების დღეებში, ვერ გეტყვით, რადგან ჯერჯერობით ომი არ დამთავრებულა. როცა მეკითხებით, გაიმარჯვებს თუ არა უკრაინა, ამის თქმა რთულია, რადგან ვერ ვხედავ, რომ რომელიმე მხარეს გადამწყვეტი უპირატესობა ჰქონდეს. გარკვეული უპირატესობა აქვს უკრაინას...

– მიგაჩნიათ თუ არა, რომ გარკვეულწილად, უკრაინა-რუსეთის ომის ბედი გადაწყვეტს საქართველოში პოლიტიკის საკითხებს?

– რასაკვირველია, უკვე მოქმედებს. ჩვენი პოლიტიკა დაფუძნებულია იმ გეოპოლიტიკურ ძვრებზე, რომლებიც გარშემო ვითარდება. სამწუხაროდ და ცინიკურად ჟღერს, მაგრამ პოლიტიკაში სხვის უბედურებაზე კეთდება საკუთარი კეთილდღეობა. ახლა საქართველოს შესაძლებლობათა უამრავი ფანჯარა აქვს, რის გამოყენებასაც სჭირდება უზარმაზარი ნიჭი. რამდენად ნიჭიერად მიუდგებიან ჩვენი პოლიტიკოსები ამას, გამიჭირდება თქმა, რადგან პოლიტიკური დღის წესრიგი გადაფარულია მეორეხარისხოვანი დავებით ერთმანეთთან, თუმცა არის ზოგი ნაბიჯი, რომელიც ეფექტურად მოჩანს, ვგულისხმობ ენერგეტიკულ პროექტებს, რომლებიც დაიწყეს. ამ პროექტებმა ევროკავშირში, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ დეპუტატებთან ხელჩართული ომი აქვს ყოველდღიურად ქართველ პოლიტიკურ ელიტას, სერიოზული ლობი გააჩინა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დეპუტატების მხრიდან. ეს ენერგეტიკული პრიორიტეტი არ შეიქმნებოდა, რომ არ ყოფილიყო უკრაინის კონფლიქტი, ანდა რუსეთი ამის გაკეთების საშუალებას ნამდვილად არ მოგვცემდა. დღეს რუსეთს ამის თავი და დრო არ აქვს.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ რუსეთი თაფლაკვერისა და მათრახის პრინციპით მუშაობს ჩვენთანაც, მაგრამ ეს მათრახი ახლა ისეთი ეფექტიანი აღარაა, როგორიც იყო. ზოგ შემთხვევაში ვეღარ ახერხებს ამ მათრახის გამოყენებას და ენერგეტიკულ პროექტებთან დაკავშირებით, ასე მოხდა. გამოსაყენებელია ეს სიტუაცია, რასაც პოლიტიკური სიბრძნე სჭირდებ და რაც დეფიციტურია მსოფლიოში.

გია ხუხაშვილი: „ძალიან ცუდი დღე ელით ვიღაც-ვიღაცებს“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ბოლო დროის აქტუალურ, პოლიტიკურ პროცესებზე „ვერსია“ ანალიტიკოს გია ხუხაშვილს ესაუბრა.

– ბატონო გია, ოპოზიციაში გაერთიანებაზე საუბარი დაიწყო. ჯერჯერობით, ნაციონალური მოძრაობისა და სტრატეგია აღმაშენებლის ტანდემი გამოიკვეთა, გაიჟღერა პრემიერ-მინისტრობის პოსტზე გიორგი ვაშაძის კანდიდატურამაც. როგორ აფასებთ ამ პროცესს?

– ენმ-ის გარშემო გაერთიანება მორიგი „ტიტანიკის“ შენებას ჰგავს, რადგან ელექტორალურად, ეს ნაციონალურ მოძრაობას არაფერს აძლევს იქიდან გამომდინარე, რომ მიუხედავად საკმაოდ მრავალრიცხოვანი მხარდამჭერისა, ეს ერთგვარი ჩაკეტილი სისტემაა და მას ელექტორალური ზრდის პოტენციალი არ აქვს. როდესაც ამომრჩეველმა ენმ-ს უარი უთხრა, ჩვენ რომ მოვდიოდით ხელისუფლებაში 2012 წელს, ეს ამომრჩეველი მასთან აღარასდროს დაბრუნდება, რადგან მის თვალში ნაციონალური მოძრაობა სამუდამოდ კომპრომეტირებულია. ამ ამომრჩევლის გარეშე კი არჩევნების მოგება ილუზიაა. ენმ-ს, რა თქმა უნდა, ჰყავს თავის „მრევლი“, მაგრამ მას მაინც არაფერი მიემატება, სულ 200 პარტიაც რომ შეუერთდეს, რადგან იმ პარტიების ამომრჩევლები თავის ლიდერებს ასე არ მიჰყვებიან. დავუშვათ, ლელო ნაციონალურ მოძრაობას რომ შეეკრას, არ გაჰყვება ამომრჩეველი. პატარა პარტიების ბოსები კი ნახავენ სარგებელს, მაგალითად, ვაშაძე, ალბათ, გახდება დეპუტატი. სამაგიეროდ, მისი პარტია დაკარგავს იდენტობას იმიტომ, რომ ნაციონალური მოძრაობის ორბიტალური მიზიდულობა ბევრად უფრო ძლიერია და ფაქტობრივად, ეს პარტია გაითქვიფება ენმ-ში, თუმცა ვაშაძის პარტიას, იდენტობა, დიდი ხანია, დაკარგული აქვს, 50 სახელი გამოიცვალა და ახლა რა ჰქვია, ისიც არ მახსოვს...

– სტრატეგია აღმაშენებელი ჰქვია... ისე, სხვა პარტიის ლიდერის პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად დასახელება, სტრატეგიულად სწორი ნაბიჯი იქნება ენმ-ის მხრიდან?

– ეს საერთოდ კომიკური თემაა, კომენტარიც ზედმეტია. ჯერ პოლიტიკური ლოგიკა სად არის, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ თანხმობა განაცხადოს ვაშაძის პრემიერად დანიშვნაზე? – ასე არ ხდება პოლიტიკაში. პრემიერ-მინისტრის კანდიდატი უფრო მსხვილი გაერთიანების წარმომადგენელია ხოლმე, თუმცა მესმის, რომ ვაშაძე დიდი ხანია, ოცნებობს პრემიერობაზე...

– სხვათა შორის, სააკაშვილმა დადებითად ისაუბრა ვაშაძეზე, ბევრი ელოდა მის შეფასებას...

– არ ვეცნობი სააკაშვილის ფეისბუქ-გვერდს, რაღაც სტატუსი ჩემთვისაც მოუძღვნია ცოტა ხნის წინ, რომ თურმე, შეცდომაში შემყავს საზოგადოება...

– ბატონო გია, მიხეილ სააკაშვილმა შეიცვალა პოზიცია და განაცხადა, რომ ერთვება ქართულ პოლიტიკაში. წელან რომ თქვით, ნაციონალური მოძრაობა ელექტორალურად არ იზრდებაო, რას ფიქრობთ, სააკაშვილის ფაქტორი ამ საკითხს არ შეცვლის?

– ვფიქრობ, ნაციონალური მოძრაობის ელექტორატის გარკვეულ მობილიზებას მოახდენს. ვიცით, რომ ენმ-ში მიდის ძალიან მწვავე შიდა კრიზისი, ფაქტობრივად, პარტია ორადაა გაყოფილი და მის გააქტიურებას შეუძლია ელექტორალური რღვევა შეაჩეროს. ის, რომ ამით პარტიას რამე შემატოს, ვერ გააკეთებს, რადგან როგორც უკვე ვთქვი, ჩაკეტილი სისტემაა. მხოლოდ შეუძლია, რომ პარტია გახლეჩას გადაარჩინოს და ისიც დროებით.

საერთოდ, მიხეილ სააკაშვილის თემას დღეის მდგომარეობით განვიხილავდი, როგორც ჰუმანიტარულ თემას, პოლიტიკასთან ამას დიდი კავშირი არც აქვს. მიუხედავად იმისა, რომ მე და ბევრი ჩემი მეგობარი დაზარალებულები ვართ მისი რეჟიმისგან, კობახიძისა და ღარიბაშვილისგან განსხვავებით, სხვათა შორის.. მაგრამ მის მდგომარეობას რომ ვუყურებ, პოლიტიკურ ასპექტში ვეღარ განვიხილავ, მით უმეტეს, აღარ აქვს ის

შეძლებს თუ არა მიხეილ სააკაშვილი ენმ-ს გადარჩენას და რატომაა გიორგი ვაშაძის პრემიერობის კანდიდატობა სასაცილო

რესურსი, რომ სახელმწიფოებრივი რამ მოახდინოს. მას აქვს მხარდაჭერა უცხოეთში, რა თქმა უნდა, ჰყავს თავისი პარტია, მაგრამ ეს არ არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი მასა, რომ ამან გადაწონოს არჩევნების ბედი, რასაც ძალიან ოსტატურად იყენებს ხელისუფალი.

– დიახ, ჩანს, რომ 2024 წლის არჩევნებისთვის ხელისუფლება უკვე ემზადება. ოპოზიცია კი ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია, ლელო აცხადებს, რომ ენმ-სთან არ ითანამშრომლებს, ნაციონალურ მოძრაობაში შიდაპარტიული პრობლემებია... თქვენი პროგნოზი როგორია, ამ მოცემულობით „ოცნება“ ისევ დარჩება ხელისუფლებაში?

– არა... ხვალ რომ ტარდებოდეს არჩევნები, კი, მაგრამ ისეთი ფაქტორები მოქმედებს, რომ შეიძლება, ძალიან სწრაფად შეიცვალოს ყველაფერი. თქვენ წარმოიდგინეთ, „ოცნების“ ხელისუფლებაში დარჩენის მთავარი ფაქტორი ქვეყნის შიგნით არაა, ის დიდი გლობალური პროცესია, რაც ახლა მიმდინარეობს.

„ქართული ოცნების“ პოლიტიკამ, რასაც ისინი ატარებენ მთელი ომის პერიოდში, გარკვეულწილად, მათთვისვე გააჩინა სერიოზული რისკები. რომ წარმოვიდგინოთ, უკრაინა, ამ ერთი წლის განმავლობაში, სერიოზულ წარმატებას მიაღწევს, ომში გამარჯვების კონტურები გამოიკვეთება, ეს შეიძლება გახდეს გადამწყვეტი ფაქტორი „ქართული ოცნების“ ხელისუფლებიდან ჩამოშორებისა, ოპოზიცია საერთოდ რომ გაქრეს საქართველოში, მაინც... იმიტომ, რომ უკრაინის გამარჯვება ნიშნავს ახალ მსოფლიო წესრიგს, რომელშიც უკრაინის წონა, როგორც ფიზიკურად გამარჯვებული ელემენტისა, იქნება მაღალი და იმ ურთიერთობიდან გამომდინარე, რაც აირჩია საქართველოს ხელისუფლებამ უკრიანასთან მიმართებაში, უბრალოდ, „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში ვერ დარჩება.

– გასაგებია, მაგრამ ალტერნატივა ხომ უნდა არსებობდეს, ვინც შეცვლის?

– ეს არის პარადოქსი, ალტერნატივა არ არსებობს, მაგრამ საერთოდ რომც არ არსებობდეს ოპოზიცია, რაღაც მოხდება, „ქართული ოცნება“ ვერ დარჩება, რადგან მათ ახალ სამყაროში მორალური უფლება არ ექნებათ.

რა იყო მთელი ამ პერიოდის განმავლობაში „ოცნების“ პოლიტიკა – წარმოიდგინეთ, სახლში მტერი შემოგივარდათ და გემუქრებათ, რომ ოჯახს ამოგიხოცავთ და თქვენ მეგობრებს სთხოვეთ დახმარება. ყველა გეხმარებათ და ერთი გეუბნებათ, ჩემი მეგობარი ხარ, მაგრამ მაგ კაცთან ჩემი ბიზნესი მაქვს და თან შარია, ჩემი ოჯახი მყავს მისახედი, კარგად როცა იქნები, ისევ ვიმეგობროთო. ასეთ ადამიანთან, რა თქმა უნდა, არ იმეგობრებდით. თან მხოლოდ ამაში არაა საქმე, დაპირისპირება უკვე ისეთ ფაზაში შევიდა, როცა ახალი მსოფლიო წესრიგის დამკვიდრება დაიწყება, ძალიან ცუდი დღე ელით ვიღაც-ვიღაცებს. როგორ მოხდება, ვის მოიყვანენ – ეს უკვე ტექნიკური საკითხია.

– ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღების საკითხი რამდენად იქნება „ოცნებისთვის“ გადამწყვეტი, ხელისუფლებაში დარჩენის თვალსაზრისით?

– არ მგონია, ეს გადამწყვეტი იყოს. წმინდა პროპაგანდისტულად, ორივე შემთხვევაში, „ოცნებას“ აქვს ფორმულა, როგორ იმოქმედოს. თუ მივიღებთ კანდიდატის სტატუსს, ამას გამოაცხადებენ საკუთარ გამარჯვებად, ხოლო თუ ვერ მივიღებთ, იტყვიან, რომ ომის პარტიამ ომი მოგვთხოვა და ჩვენ ხელი არ მოვაწერეთო. ასევე ილაპარაკებენ იმაზე, ევროპაში როგორი გარყვნილები არიან, რომ ნახევარი საქართველოსთვის სექსუალური ორიენტაციის შეცვლა უნდოდათ და ჩვენ არ დავუშვითო. მათ პროპაგანდისტული სპეკულაციის საშუალებები ამ მხრივ აქვთ.

– თუმცა, მარტის აქციების დროს, ახალგაზრდობა რომ გამოვიდა და საკუთარი ძალა დაანახა ყველას, ამის განმეორების საშიშროებას ვერ დაინახავენ?

– ახალგაზრდობა არის ერთადერთი ძალა, რომლის „რეცეპტიც“ არ იცის ამ ხელისუფლებამ და ამიტომ ძალიან ეშინია, მაგრამ ნებისმიერ პროცესს სჭირდება სისტემატიზირება, ლიდერი, რადგან შეიძლება ერთჯერადად გამოვიდეს ახალგაზრდობა, მოანგრიოს ნებისმიერი ხელისუფალი, მაგრამ მერე ისევ უკან ბრუნდება. თუ ვიღაცამ ამას ორგანიზება არ გაუკეთა და პერმანენტული ხასიათი არ მისცა, ვექტორი არ მიმართა და მიზანმიმართულობა არ მიანიჭა, ეს პროტესტი ქაოსია და მეტი არაფერი, რომელსაც შედეგი ვერ მოჰყვება. იგივე მოხდა მარტის აქციების დროს – ახალგაზრდობამ აჩვენა თავის ძალა, ხელისუფლებამ უკან დაიხია, მაგრამ ეს ახალგაზრდობა წავიდა სახლში და ესენი ისევ ყელყელაობენ. სააკაშვილის დროს რომ ჩირგვებში ისხდნენ და ახლა მაგარი ბიჭები რომ არიან, „სისხლიან 9 წელზე“ რომ ლაპარაკობენ, შეეშინდათ, უკან დაიხიეს, ახალგაზრდობა დაბრუნდა სახლებში, მაგრამ ისევ გამოვიდნენ და თვალებს აბრიალებენ. ასეთი უცნაური ხალხი გვყავს ხელისუფლებაში.

– როგორ ფიქრობთ, რა უშლის ხელს საქართველოში ახალი პოლიტიკური ძალის ფორმირებას, თუნდაც ამ ახალგაზრდობის წიაღიდან?

– ბევრი ფაქტორი მუშაობს. ერთი ფაქტორია, რომ ბიძინამ იმ პერიოდიდან, რაც მე წამოვედი და შევწყვიტეთ ურთიერთობა, დაისახა ამოცანად არა ის, რომ ემტკიცებინა, თვითონ იყო კარგი, არამედ ის, რომ – ყველა ცუდია. ამან საზოგადოებაში დაამკვიდრა უიმედობა, ნიჰილიზმი, სკეპტიციზმი, არ დატოვა ავტორიტეტები და ამასთან, რესურსების მონოპოლიზება მოახდინა. ნებისმიერ პროცესს სჭირდება ავტორიტეტი და როგორც კი ვიღაც თავს წამოჰყოფს, მაშინვე იწყება კომპრომეტაცია. ტროლები, ბოტები, ორ შაურად გაყიდული ექსპერტები სანამ მიწაში არ ჩადებენ, არ ანებებენ თავს. მეორე მხრივ, რაღაც მოძრაობა რომ დაიწყო, რესურსები გჭირდება და რესურსებიც არაა. ეს მისი „ნოუ-ჰაუ“ არაა, რა თქმა უნდა. მას ახალი არაფერი მოუგონებია, წინა რეჟიმიც იმავეს აკეთებდა, უბრალოდ, გადმოიბარა, სახეცვლილება მოახდინა და იმავეს აგრძელებს. რეალურად, მიშასა და „ოცნებას“ შორის დიდი განსხვავება კი არაა, ორივე არის ძალაუფლების მონოპოლიაზე ორიენტირებული ადამიანი. უბრალოდ, ერთს უყვარდა, რომ პრეზიდენტის სკამში ყოფილიყო და მსოფლიოს ჭიპად წარმოედგინა თავი. მეორეს კი არ უყვარს ასე გამოჩენა, ჩრდილშია და ტელეფონით მართავს ქვეყანას. რეალურად, ორივე აბსულუტურ ძალაუფლებაზეა ორიენტირებული.

რას გულისხმობს საქართველო-ჩინეთს შორის სტრატეგიული პარტნიორობა

მე-2 გვერდიდან

2.10. ჩინეთი შეისწავლის საქართველოს მიერ სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად პრეფერენციული დაკრედიტების საკითხს.



ხალხთაშორისი და კულტურული ურთიერთობის განზომილება

3.1. ახალ პირობებში ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავების საჭიროების გათვალისწინებით, მხარეები გამოთქვამენ მზაობას აქტიურად აწარმოონ სამეცნიერო და ტექნოლოგიური თანამშრომლობა, განაახლონ შეთანხმება მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში თანამშრომლობის შესახებ, რომელიც 1993 წელს იქნა ხელმოწერილი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და საქართველოს შორის.

3.2. ხალხთა შორის კავშირებისა და კულტურული ურთიერთობების სფეროში მეგობრული დამოკიდებულებისა და თანამშრომლობის დიდი პოტენციალის გათვალისწინებით, მხარეები თანხმდებიან გააძლიერონ კულტურული თანამშრომლობა. წახალისდება ორი ქვეყნის მოქალაქეებს შორის ვიზიტები, გაძლიერდება თანამშრომლობა ტურიზმის, ჯანდაცვის, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის მიმართულებით. ამასთანავე, გაძლიერდება ურთიერთობები კინემატოგრაფიის, პრესის და საჯარო დიპლომატიის სფეროებში.

3.3. მხარეები შეისწავლიან ჩინეთისა და საქართველოს კულტურის წლების აღნიშვნის შესაძლებლობას და გააგრძელებენ კონსულტაციებს კულტურული ცენტრების დასაარსებლად, რასაც შესაბამისი ხელშეწყობა ექნება.

3.4. მხარეები გააძლიერებენ თანამშრომლობას მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების სფეროებში. განხორციელდება პროფესორ-მასწავლებლების და სტუდენტების გაცვლითი პროგრამები, გაძლიერდება თანამშრომლობა მეცნიერებისა და ახალი ტექნოლოგიების კომერციალიზაციის სფეროში, განხორციელდება ერთობლივი პროექტები.

3.5. მხარეები ხელს შეუწყობენ უნივერსიტეტებს ერთობლივი სასწავლო პროგრამების მსგავსი პრაქტიკული თანამშრომლობის განხორციელებას; წახალისდება უნივერსიტეტების მიერ მაღალი ხარისხის ციფრული საგანმანათლებლო რესურსების სრული გამოყენება და მათი გათვალისწინება თანამშრომლობის ონლაინ და ოფლაინ ფორმატებში. მხარეები ხელს შეუწყობენ სტუდენტების ურთიერთ-გაცვლას და ერთობლივ განვითარებას, სამთავრობო სასტიპენდიო ინსტრუმენტებისა და სხვა საშუალებების გამოყენებით.

3.6. მხარეები მნიშვნელობას ანიჭებენ ენების შესწავლის მიზნით გაცვლისა და თანამშრომლობის პროგრამებს, წაახალისებენ ორივე ქვეყნის სკოლებს ჩინური და ქართული ენების შესწავლისკენ; მზაობას გამოთქვამენ ენის პედაგოგების გაცვლითი პროგრამების განხორციელებისა და გადამზადებისთვის; მხარს უჭერენ კონფუცის ინსტიტუტების (საკლასო ოთახების) განვითარებას.

საერთაშორისო განზომილება

4.1. მხარეები გააძლიერებენ კოორდინაციას და თანამშრომლობას რეგიონალურ და საერთაშორისო საქმეებში, ჭეშმარიტი მულტილატერალიზმის ერთობლივ მხარდაჭერას; მტკიცედ დაიცავენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ირგვლივ შექმნილ საერთაშორისო სისტემას, საერთაშორისო სამართალზე დაფუძნებულ საერთაშორისო წესრიგს, გაეროს წესდების მიზნებსა და პრინციპებზე დამყარებულ საერთაშორისო ურთიერთობების საფუძველზე ძირეულ ნორმებს; წაახალისებენ ახალი სახის საერთაშორისო ურთიერთობების დანერგვას.

4.2. მხარეები მხარს უჭერენ კაცობრიობის საერთო ღირებულებების – მშვიდობის, განვითარების, თანამშრომლობის, სამართლიანობის, დემოკრატიისა და თავისუფლების ხელშეწყობას; პატივს სცემენ ყველა ხალხის დამოუკიდებელ არჩევანს მათი ეროვნული შესაძლებლობების შესაბამისი განვითარების გზის განსაზღვრაში და ხელს უწყობენ კაცობრიობის საერთო მომავლის მქონე საზოგადოების შექმნას.

4.3. საქართველო მხარს უჭერს ჩინეთის მიერ შემოთავაზებული გლობალური განვითარების ინიციატივას და მზადაა აქტიური მონაწილეობა მიიღოს ხსენებული ინიციატივის ფარგლებში წარმოებულ თანამშრომლობაში, რათა დაჩქარდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2030 წლისთვის გაწერილი მდგრადი განვითარების დღის წესრიგის განხორციელება.

4.4. საქართველო მხარს უჭერს ჩინეთის მიერ შემოთავაზებული გლობალური უსაფრთხოების ინიციატივას. მხარეებს სურთ ურთიერთობისა და თანამშრომლობის გაძლიერება ხსენებული ინიციატივის ფარგლებში და ერთობლივ ძალისხმევას ახორციელებენ მშვიდობიანი და სტაბილური საერთაშორისო უსაფრთხოების გარემოსთვის, რეგიონში ქვეყნების საერთო განვითარების ხელშეწყობისა და დაცვისთვის.

4.5. საქართველო მხარს უჭერს ჩინეთის მიერ შემოთავაზებული გლობალური ცივილიზაციის ინიციატივას. მხარეები აქტიურად ითანამშრომლებენ ხსენებული ინიციატივის განსახორციელებლად.

ფინანსური დარღვევები საბიუჯეტო ორგანიზაციებში

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მორიგი დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური საბიუჯეტო ორგანიზაციებით დაინტერესდა. დასკვნა, რომელიც უწყების ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, 2021 წლის პერიოდს მოიცავს. სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების 2021 წლის კონსოლიდირებულ (ნაერთ) ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო შემოსავლების ანგარიში, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სათანადო საფუძვლების შესაბამისად. თუმცა, ამის მიუხედავად, სახელმწიფო მაკონტროლებლებმა მთელი რიგი ხარვეზები გამოავლინეს, როგორც საგადასახადო შემოსავლებში, ასევე საშემოსავლო გადასახადის განაწილებასა და ინფორმაციული სისტემების კონტროლში. ხარვეზების გამოვლენასთან ერთად, სახელმწიფო აუდიტორებმა მთელი რიგი რეკომენდაციები შეიმუშავეს, მათ გამოსასწორებლად.

ხარვეზები საგადასახადო შემოსავლებში

სახელმწიფო აუდიტის დასკვნის მიხედვით, 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში მითითებულია, რომ საგადასახადო შემოსავლები აღირიცხება საკასო მეთოდით. ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაციით, ეს არის დარიცხვის მეთოდით აღრიცხვასთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან გადახრა, რაც გამოიყენება გარდამავალ პერიოდში, ელექტრონული მთავარი წიგნის ფუნქციონალის სრულად ამოქმედებამდე.

„ფინანსურ ანგარიშგებაში ზემოაღნიშნული განმარტება მომხმარებლებისთვის არ არის სრული და დეტალური, რადგან არ მოიცავს იმ საკითხებსა და პრობლემებს, რის გამოც საგადასახადო შემოსავლები აღირიცხება საკასო მეთოდით; ასევე, ამ დრომდე არ არსებობს დამტკიცებული გეგმა, როდის უნდა აღირიცხოს საგადასახადო შემოსავლები დარიცხვის მეთოდით და აღნიშნულის შესახებ არც შესაბამისი ინფორმაციაა მოცემული განმარტებით შენიშვნებში. საგადასახადო შემოსავლების დარიცხვის მეთოდზე გადასვლის შემდგომ, აღრიცხვის ინსტრუქციასთან შესაბამისობისა და ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენისათვის, აუცილებელი იქნება საგადასახადო შემოსავლებთან და დაკავშირებულ მუხლებთან სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, რაც არ განხორციელებულა“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფო მაკონტროლებლების მტკიცებით, ანგარიშგების მომხმარებლებს არ მიეწოდებათ საგადასახადო შემოსავლების დარიცხვის მეთოდისგან განსხვავებული მიდგომის გამოყენებასთან დაკავშირებული, მნიშვნელოვანი ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია.

რეკომენდაცია: ფინანსური ანგარიშგების აღქმადობის გასაუმჯობესებლად, მიზანშეწონილია, ფინანსთა სამინისტრომ ჩამოაყალიბოს საგადასახადო შემოსავლების დარიცხვის მეთოდით აღრიცხვაზე გადასვლის გეგმა, სადაც გაიწერება დეტალური ღონისძიებები, მათ შორის, საგადასახადო შემოსავლების აღრიცხვის სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავების საკითხი.

ხარვეზები საშემოსავლო გადასახადის განაწილებაში

ხარვეზები გამოვლინდა საშემოსავლო გადასახადის განაწილებაშიც. საშემოსავლო გადასახადის განაწილება გავლენას ახდენს სახელმწიფო და რესპუბლიკური ბიუჯეტების საგადასახადო შემოსავლების მოცულობაზე და შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების სისწორესა და წარმოშობაზე. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით, საშემოსავლო გადასახადი მიემართება სახელმწიფო ბიუჯეტში, გარდა „ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე რეგისტრირებული დასაბეგრი ობიექტების საშემოსავლო გადასახადისა“, რომელიც მიემართება ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტში.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების მიხედვით, გადასახადის გადამხდელმა საშემოსავლო დეკლარაციის შესაბამის ველში უნდა მიუთითოს მის მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადიდან რესპუბლიკურ ბიუჯეტში მისამართი თანხის ოდენობა. შემოსავლების სამსახურის განმარტებით, ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დასაბეგრ ობიექტებში იგულისხმება ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე ფაქტობრივად განხორციელებული საქმიანობა, მათ შორის, დაქირავებითი საქმიანობა და იქ მიღებული შემოსავლის დაბეგვრის შედეგად წარმოშობილი საშემოსავლო გადასახადი. აუდიტის ჯგუფის მიერ შეირჩა 54 ისეთი ორგანიზაცია, რომელთაც აქვთ ფილიალები, როგორც ავტონომიური რესპუბლიკის, ისე სახელმწიფოს სხვა ტერიტორიაზე.

„აუდიტის ჯგუფის მოთხოვნის შესაბამისად, შემოსავლების სამსახურმა წერილით მიმართა შერჩეულ გადასახადის გადამხდელებს შეკითხვით: აუდიტორებისთვის ეცნობებინათ თავიანთი მოსაზრება, როგორ ჰქონდათ აღქმული საბიუჯეტო კოდექსში ბიუჯეტებს შორის შემოსავლების განაწილების დანართში არსებულ ჩანაწერი, რომელიც ეხება „ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე რეგისტრირებული დასაბეგრი ობიექტების საშემოსავლო გადასახადს“; ასევე, რა პრინციპით ახდენდნენ კომპანიები რესპუბლიკურ ბიუჯეტებზე მისაკუთვნებელი თანხის გაანგარიშებას. გაგზავნილი წერილებიდან პასუხი მიღებულია 24 ორგანიზაციიდან. გადასახადის გადამხდელების გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ არ არსებობს ერთგვაროვანი მიდგომა საშემოსავლო გადასახადის დეკლარირებისას. კომპანიებისაგან მიღებული პასუხების თანახმად, გამოიკვეთა საშემოსავლო გადასახადის დეკლარირების სამი განსხვავებული მიდგომა. გადასახადის გადამხდელის მიერ სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებს შორის საშემოსავლო გადასახადის სწორად განაწილებასთან დაკავშირებით, შემოსავლების სამსახურში არ არის დანერგილი კონტროლის მექანიზმები. საბიუჯეტო კოდექსის ჩანაწერი არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული და საკითხი არც ფინანსთა მინისტრის ბრძანებითაა განმარტებული. შესაბამისად, აღნიშნული ნორმა გადასახადის გადამხდელებს აძლევს ინტერპრეტირების საშუალებას“.

რაც შეეხება რეკომენდაციას, სახელმწიფო აუდიტორებს მიაჩნიათ, რომ საშემოსავლო გადასახადის სწორად განაწილებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში საგადასახადო შემოსავლების მუხლის სამართლიანი წარდგენისათვის, შემოსავლების სამსახურმა, შესაბამის ნორმატიულ აქტებში უნდა შეიტანოს ცვლილებები ან/და გამოსცეს მეთოდური მითითებები, სადაც გადასახადის გადამხდელებისათვის განიმარტება საშემოსავლო გადასახადის დეკლარირების პრინციპები.

ინფორმაციული სისტემების კონტროლი

შემოსავლების სამსახური იყენებს საფინანსო ანალიტიკური სამსახურის IT ინფრასტრუქტურას. უწყებებს შორის ჩამოყალიბებულია „ინფრასტრუქტურა, როგორც სერვისი“ – აუთსორსინგის მოდელი. სერვერისა და მასზე განთავსებული მონაცემთა ბაზის მართვის სისტემის ადმინისტრირებას ახორციელებს შემოსავლების სამსახური, ხოლო სერვერის ვირტუალური მანქანისა და გამოთვლითი რესურსების მართვას – საფინანსო-ანალიტიკური სამსახური. სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, ამ ტიპის ურთიერთობაში მნიშვნელოვანია შედგეს დაკავშირებულ მხარეებს შორის შეთანხმება სერვისის პირობებზე (SLA), რომლებიც აღწერს მხარეების მიერ შესასრულებელ მინიმალურ მოთხოვნებს. შემოსავლების სამსახურსა და საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურს შორის მსგავსი ტიპის შეთანხმება არ გაფორმებულა. მომსახურების გაწევის შესახებ შეთანხმების არარსებობის გამო, ნათლად არ არის განსაზღვრული მხარეების უფლება-მოვალეობები სისტემის გამართულად ფუნქციონირებასთან დაკავშირებით:

„კიბერშეტევის პრევენციის მიზნით, აუცილებელია მონაცემთა ბაზისა და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის რეგულარული განახლება. სისტემის მდგრადობისთვის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია მონაცემთა ბაზებისა და აპლიკაციის სრული ლოგ-ირება, შესაბამისად უნდა ხდებოდეს მომხმარებ-

დასასრული მე-8 გვერდზე

ფინანსური დარღვევები საბიუჯეტო ორგანიზაციებში

მე-7 გვერდიდან

ლების აქტივობების, გამონაკლისების, შეცდომებისა და ინფორმაციული უსაფრთხოების შემთხვევების ლოგ-ების მუდმივი წარმოება, შენახვა და რეგულარული გადახედვა. შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზა არ არის მწარმოებლის მიერ ლიცენზირებული; ასევე, ერთ-ერთი საინფორმაციო სისტემა, რომელზეც დაფუძნებულია სხვადასხვა მოდულები, მწარმოებლის მიერ აღარ ხორციელდება გამოყენებული ვერსიის მხარდაჭერა და განვითარება. მონაცემთა ბაზების სარეზერვო ასლებს აწარმოებს და ლოგ-ირებას ახორციელებს საფინანსო-ანალიტიკური სამსახური. რაც შეეხება გას-სისტემას, აღსანიშნავია, რომ არ მიმდინარეობს სისტემის სრული ლოგ-ირება, შესაბამისად, არ ხდება სრული ლოგ-ის ანგარიშგება და სრულყოფილი ანალიზი, რაც კონტროლის მექანიზმის ნაკლოვანებაზე მიუთითებს და ართულებს ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტის დროს საქმის მოკვლევას“.

გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ შემოსავლების სამსახურში არ არსებობს ფორმალური პოლიტიკა, რომლის საშუალებითაც განისაზღვრება კონკრეტული პოზიციების შესაბამისი პრივილეგიები გას-სისტემაში; ასევე, არ მიმდინარეობს თანამშრომლისთვის მინიჭებული პრივილეგიების გადახედვა და მონიტორინგი. თანამშრომლისთვის რომელიმე პრივილეგიის ან/და უფლების მინიჭება ხდება ელექტრონულ დოკუმენტბრუნვაში მიღებული წერილის საფუძველზე, სადაც შესაბამისი სამსახურის უფროსი იწერება, რომელ თანამშრომელს უნდა მიეცეს შესაბამისი უფლება. გას-სისტემიდან შეირჩა რამდენიმე მოდული და ჩატარებული პროცედურების შედეგად გამოვლინდა, რომ გას-სისტემაში არსებულ მოდულებზე წვდომა შესაძლებელია ძირითადი ორი უფლებით: კითხვადი და სრული დაშვება.

რეკომენდაცია: შემოსავლების სამსახურმა გას-სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის, სისტემის უსაფრთოების და არაუფლებამოსილი პირების მიერ ცვლილების განხორციელების პრევენციის, პროცესების და უფლება-მოვალეობების დოკუმენტირებისათვის, მუდმივად აწარმოოს, შეინახოს და გადახედოს სისტემაში არსებულ ლოგ-ებს, შეიმუშაოს სისტემის ლოგიკური წვდომის პოლიტიკა, სისტემაში კონკრეტული პოზიციების შესაბამისი პრივილეგიები და ფუნქციების/კომპონენტების დონეზე განცალკევებული და დამოუკიდებელი წვდომის უფლებები.

ხარვეზები სავალუტო ანგარიშზე ჩარიცხულ შემოსავლებში

ვიდრე იმ ხარვეზებს გაგაცნობთ, რაც სავალუტო ანგარიშზე ჩარიცხულ შემოსავლებში გამოვლინდა, აუცილებლად უნდა შეგახსენოთ, რომ საკურსო სხვაობა არის სხვაობა, რომელიც მიიღება ერთი ვალუტის მოცემული რაოდენობის ერთეულების გადაანგარიშებისას სხვა ვალუტაში, სხვადასხვა გაცვლითი კურსის გამოყენებით. თავდაპირველი აღიარებისას, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაცია უნდა ჩაიწეროს სამუშაო ვალუტაში, სამუშაო ვალუტასა და უცხოურ ვალუტას შორის ოპერაციის განხორციელების თარიღისთვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის გამოყენებით. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიქმნება საანგარიშგებო პერიოდში, ან ფინანსურ ანგარიშგებაში ფულადი მუხლების თავდაპირველი აღიარებისას, გამოყენებული კურსისაგან განსხვავებული კურსით გადაანგარიშებისას, აღიარებულ უნდა იქნეს, როგორც ნამეტი ან დეფიციტი იმ პერიოდში, რომელშიც ისინი წარმოიქმნებიან.

„ჩატარებული აუდიტორული პროცედურების შედეგად გამოვლინდა, რომ ვალუტაში გადახდილი გადასახადების მიღება ხდება ეროვნული ბანკის სავალუტო ანგარიშზე, რომელიც კონვერტირდება ეროვნულ ვალუტაში და გადაიტანება გადასახადების სალარო ანგარიშზე. ოპერაციები ფინანსურ ანგარიშგებაში საგადასახადო შემოსავლად აღიარდება არა ვალუტის მიღების, არამედ, მისი კონვერტაციის მომენტში, ამავე თარიღისთვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადასახადების ფაქტობრივად მიღებისა და კონვერტაციის თარიღს შორის ვალუტის ცვლილების ეფექტი ჩართულია საგადასახადო შემოსავლების მუხლში; ფინანსურ ანგარიშგებაში ასევე არ არის ასახული 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაკონვერტირებელი ვალუტაში მიღებული გადასახადები“.

სახელმწიფო აუდიტორების მიერ გამოვლენილი ხარვეზების გათვალისწინებით, საგადასახადო შემოსავლების მუხლი გაზრდილია 3 230 471 ლარით, რაც გამოწვეულია იმით, რომ თანხების კონვერტაცია არ ხდება ჩარიცხვის დღესვე.



სამართალი

№28 2 აგვისტო 2023 წ

თბილისის ერთ-ერთ სკვერში 7 წლის ბავშვის ცხედარი იპოვეს

უშვილო ცოლის სასტიკი შურისძიება

ბათო ჯაფარიძე

შურისძიების წყურვილი – ეს არის ის, რასაც წლები ვერაფერს აკლებს. შურისძიების გამო, ადამიანები ითმენენ, ელოდებიან შესაფერის მომენტს, დროს და ყველაფერი ეს, შეიძლება, წლები გაგრძელდეს, თანაც არცთუ იშვიათად, შურისძიება ბრმა არის, ხშირად იმდენად სასტიკია, რომ შურისძიების ობიექტი შეგეცოდება. ამიტომ, ყველა კარგად უნდა დაფიქრდეს, რა შეიძლება მოჰყვეს მის მიერ გადადგმულ ნაბიჯს – შესაძლოა, გამოჩნდეს ადამიანი, რომელიც შურს სასტიკად იძიებს. ისე, ყველაზე სასტიკი ქალებისა და... ბავშვების შურისძებაა. ჰო, ბავშვების, ბავშვებს თუ შესაბამისი გარემო ექნებათ, ძალიან სასტიკები იზრდებიან და ამას არავინ უარყოფს. ამიტომაცაა, ავღანეთში, სირიაში, აფრიკულ ქვეყნებში ანუ იქ, სადაც ომია, ბავშვებს იარაღს რომ შეაჩეჩებენ ხოლმე. ავღანეთიდან დაბრუნებული ჯარისკაცები ამბობდნენ, ბავშვს თუ იარაღი უჭირავს, არასდროს შეხედო თვალებში, რადგან ყველა ვარიანტში გესვრისო...

70-იანი წლების მიწურულს, თბილისში 7 წლის ბიჭი დაიკარგა. დედა, მეგობართან ერთად, სახლის წინ, სკვერში ასეირნებდა ბავშვს, პატარა სამთვლიან ველოსიპედზე დაჯდა, იქვე სეირნობდა და... ველოსიპედი იპოვეს, იქვე ეგდო, ბავშვი კი გაქრა. რა თქმა უნდა, მთელი მილიცია ფეხზე დადგა, მაგრამ ბავშვი თითქოს ცამ ჩაყლაპა, მის კვალს ვერავინ მიაგნო. არადა, ოჯახი არაფრით იყო გამორჩეული, დედა დილიდან საღამომდე მუშაობდა, მამა კი... ოჯახის უფროსი, დაახლოებით, ორი წლის წინ, მშენებლობაზე დაიღუპა, მეექვსე სართულიდან გადმოვარდა. მეზობლებიც ამბობდნენ, რომ ქალი შვილს იყო გადაყოლილი, არავინ ჰყავდა, ამიტომ ბავშვის გაზრდაში სწორედ ის საუკეთესო მეგობარი ქალი ეხმარებოდა, რომელიც იმ დღესაც მასთან იყო. ქალს ხანდახან ღამის ცვლაში უწევდა დარჩენა, შვილს დაქალს უტოვებდა, რომელსაც არც ქმარი ჰყავდა, არც – შვილი და მარტივად შეეძლო, მეგობარს დახმარებოდა.

მომხდარიდან, დაახლოებით, ერთი კვირა გავიდა. სამართალდამცავებმა გადაქექეს ყველა და ყველაფერი, ბოშების უბანში ჩხრეკაც კი ჩაატარეს, მაგრამ ბავშვს ვერ მიაკვლიეს. კიდევ ორიოდე დღის შემდეგ, ბიჭუნა გარდაცვლილი იპოვეს, საცხოვრებელი კორპუსიდან მოშორებით, სკვერში, სკამზე... სავარაუდოდ, ბავშვი იქ ღამე დატოვეს და მისი მიყვანა არა მარტო ზრდასრულს, 14-15 წლის მოზარდსაც კი შეეძლო – პატარა გამხდარი გახლდათ და ბევრს არ იწონიდა. გარდაცვალების მიზეზად ექიმებმა საპირფარეშოს სარეცხი ხსნარის მიღება დაასახელეს. ყველაზე საინტერესო კი ის გახლდათ, რომ ბავშვს ძალადობის კვალი არ ეტყობოდა ანუ ქიმიური ნაერთი ნებით მიიღო. რატომ უნდა დაელია ბავშვს ქიმიური ხსნარი საკუთარი ნებით, ვერავინ ხვდებოდა. მეტიც, ექსპერტებმა ბავშვი ხელმეორედ შეამოწმეს, ისიც კი იფიქრეს, სითხის მიღების დროს, ბავშვი რაიმე პრეპარატით ხომ არ იყო გათიშული, მაგრამ არა – ოფიციალური დასკვნით, მას ქიმიური ნაერთი ნებით ჰქონდა დალეული და ამ დასკვნაში ეჭვი ვერავის შეჰქონდა.

სხვათა შორის, ექსპერტიზის დასკვნაში ისიც ეწერა, რომ ბავშვი ორი დღის გარდაცვლილი იყო ანუ გარდაიცვალა და სკვერში შემდეგ დააგდეს. ვის და რისთვის შეიძლებოდა მოეკლა ბავშვი, წარმოდგენა არავის ჰქონდა. გამომძიებლებმა ისიც კი იფიქრეს, შემთხვევით, დედასთან ხომ არ მიიღო ქიმიური ნაერთი და ქალმა მერე მოგვმართაო, მაგრამ ბავშვის დაკარგვიდან ლამის ათი დღე იყო გასული, ის კი ორი დღის გარდაცვლილი გახლდათ. ესეც არ იყოს, ბავშვის დაკრძალვაზე დედას იმდენჯერ წაუვიდა გული, სასწრაფო დახმარების გამოძახება გახდა საჭირო და სასაფლაოდან საწყალი ქალი პირდაპირ კლინიკაში გადაიყვანეს – ნერვული შეტევა დაემართა. ახლა ის იყო გასარკვევი, ხომ არ ჰყავდა მას პირადი მტერი, ან ხომ არ არსებობდა მამაკაცი, რომელსაც მისი ცოლად მოყვანა სურდა და ხელს ბავშვი უშლიდა. ჰო, ძალოვნებს ეს ვერსიაც ჰქონდათ, ყველაფერს ებღაუჭებოდნენ, რადგან უმძიმესი დანაშაულის მიზეზს, უბრალოდ, ვერ პოულობდნენ. სამართალდამცავებმა დაკითხეს ყველა, ვისი დაკითხვაც კი შეიძლებოდა, მაგრამ ხელჩასაჭიდი ვერაფერი ნახეს. ერთადერთი, ვინც არ გამოუკითხავთ, კარის მეზობელი იყო, რომელსაც ბავშვის დაკარგვამდე ორიოდე დღით ადრე, ინსულტი დაემართა და საავადმყოფოში მკურნალობდა. მარტოხელა მოხუცები კარგი მოსაუბრეები არიან და გამოძიებას მისი იმედი ჰქონდა, თუმცა ექიმები ჯერჯერობით დაკითხვის ნებას არ იძლეოდნენ.

„აბა, რა უფლება მაქვს, ვინმე გავკიცხო, მაგრამ მაგ ქალს საყვარელი ჰყავდა, კვირაში ორჯერ აკითხავდა, ყოველთვის ღამით და ფრთხილად აკაკუნებდა. ის კარს ჩუმად აღებდა, დილით კი მამაკაცი ბინიდან მიდიოდა, ისე ადრე, ჯერ სამსახურებშიც რომ არ მიდის ხალხი. ალბათ, მარტო მე ვიცი, რომ საყვარელი ჰყავდა, ისე ჩუმად აკეთებდნენ ყველაფერს“, – თქვა მოხუცმა.

ეს რაღაც ახალი იყო, თანაც საყვარლის შესახებ არც ბავშვის დედას უთქვამს რამე, მოხუცი კი ამტკიცებდა, კაცი ყვავილებისა და ტკბილეულის გარეშე არასდროს მოდიოდაო. ბავშვის დედას საავადმყოფოში მიაკითხეს და იქ დაკითხეს. ქალმა გამომძიებლებს მოუსმინა, მერე ჩაფიქრდა და მძიმედ, მაგრამ მტკიცედ თქვა – „მივხვდი, რასაც აკეთებთ, ვერ იპოვეთ ვერავინ და ახლა ცდილობთ, მე შემტენოთ ყველაფერი, თანაც ისე, რომ სახელი გამიტყდეს. ქმრის გარდაცვალების შემდეგ, მე მამაკაცი არ მყოლია, ბიჭს ვზრდიდი, ვაჟკაცად ვზრდიდი, დედის სახელის ხსენების რომ არ შერცხვენოდა. არ ვიცი, ვინ რა გითხრათ, მაგრამ მწარედ მოგატყუეს და გაგაცურეს“, – ეს სიტყვები ქალმა იმდენად დამაჯერებლად თქვა, რომ ძალოვნებმა ერთმანეთს გადახედეს. ცხადი იყო, ან მოხუცი იტყუებოდა, ან – დაზარალებული, მაგრამ მოხუცს რაში უნდა დასჭირვებოდა ტყუილი? დეტალების დასაზუსტებლად ისევ მასთან მივიდნენ და მოხუცმა ერთი, ფრიად მნიშვნელოვანი დეტალი გაიხსენა – დაასახელა კვირის ის ორი დღე, როცა მამაკაცი მოდიოდა. სხვა დღეებში არასდროს მინახავსო, დააყოლა. გამომძიებლები ისევ ქალთან დაბრუნდნენ და უთხრეს, თქვენ მამაკაცს კვირის ამ ორ დღეს იღებდითო. ქალს სახე შეეცვალა, გაფითრდა, გაწითლდა, გაშავდა და ყრუდ თქვა: – „მაგ დღეებში, მე მუდმივად ღამის ცვლაში ვიყავი, სახლში დაქალს ვტოვებდი, ჩემს შვილთან ერთად!“

დაქალი დაკითხვაზე განყოფილებაში წაიყვანეს, რადგან ცოტა შეშინებოდა და ყველაფერი მალე ეთქვა. ისიც გამოტყდა, ჰო, საყვარელი მყავს, ცოლიანი კაცია, ჩემს ბინაში ვერ მივიყვანდი, დედასთან ერთად ვცხოვრობ, ვერც ის მიმიყვანდა თავის ცოლთან, ამიტომ როცა ჩემი მეგობარი ღამე სამსახურში იყო, მასთან ვხვდებოდით, თუმცა ეს ბავშვის სიკვდილთან კავშირში ვერ იქნება, როცა ის მოდიოდა, ბავშვს მუდმივად ეძინა და ხელი არასოდეს შეუშლია, მას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რომ ჩემთან ვიღაც მოდიოდაო.

ცოლიანი მამაკაცი ერთ-ერთი ქარხნის რიგითი თანამშრომელი აღმოჩნდა, განყოფილების უფროსის მოადგილე, ჰყავდა ცოლი, არ ჰყავდა შვილი და ზოგადად, აშკარად დადებითად ხასიათდებოდა. როცა გამომძიებლებმა დაკითხეს, მხრები აიჩეჩა, წარმოდგენა არ მაქვს, ვის შეიძლებოდა ბავშვი მოეკლა, მე რაში მჭირდებოდა ამის გაკეთებაო და მართალიც იყო. მეტიც, მამაკაცმა ისიც თქვა, ექვსი თვეა, ცოლს დავშორდი, ცოლად იმ ქალის მოყვანას ვაპირებდი, ვინც მიყვარს და პრობლემებს ძალით რატომ შევიქმნიდი, მით უმეტეს, ბავშვი რას მიშავებდაო? მისი ყოფილი ცოლის საცხოვრებელ კორპუსში ძალოვნებმა მეზობლები გამოკითხეს. ქალს კარგად არც იცნობდნენ, ნაკლებად კონტაქტობს მეზობლებთან, ისე კი, ცოტა ხნის წინ, ეზოში ბავშვთან ერთად სეირნობდა, არადა, როცა გადმოვიდა, ბავშვი არ ჰყოლია და მერეც, ის ბავშვი სადღაც გაქრაო. მეზობლებმა სურათზე გარდაცვლილი ბიჭუნა ამოიცნეს. ქალი სამსახურში დააკავეს და დაკითხვაზე წაიყვანეს.

„დამხვრიტეთ, მომკალით... ჩემი ბრალია, იმ ბავშვის სიკვდილი. შვილი არ მიჩნდებოდა, ქმარი კი სიგიჟემდე მიყვარდა. მერე დავორსულდი, თუმცა რაღაც ვირუსის გამო, მუცელი მომეშალა და ზედ საშვილოსნოც მიჰყვა. ექიმმა მითხრა, რომ ვირუსი მხოლოდ სქესობრივი გზით შეიძლებოდა გადამდებოდა და მივხვდი, ქმარმა დამაჯილდოვა. როცა ვუთხარი, საყვარელი გყავს-მეთქი, ყველაფერი უარყო, შემდეგ როცა ვუთხარი, ბავშვს ვერ გაგიჩენ, შენგან მივდივარ-მეთქი, შევატყვე, როგორ გაუხარდა და თვალთვალი დავუწყე. მივხვდი, სადაც დადიოდა, იმასაც მივხვდი, რომ იმ ქალს ბავშვი ჰყავდა, ამიტომ მისი შვილის მოტაცება გადავწყვიტე. არა, ცუდი ზრახვები არ მქონია, ბავშვი მარტივად წავიყვანე და ვუთხარი, დედიკო სხვა სამსახურში გადაიყვანეს, მალე დაბრუნდება-თქო. თან, ყველაფერს ვუსრულებდი, მომეჩვია, სხვა სკოლაში ვუპირებდი გადაყვანას, საბუთების გამოცვლაც მინდოდა. მსხლის ლიმონათზე გიჟდებოდა, აბოდებდა და მუდმივად მომქონდა. ერთ დღესაც, ლიმონათის ცარიელ ბოთლში საპირფარეშოს ხსნარი ჩავასხი და აბაზანის ქვეშ შევინახე. ბავშვს მარტო ვტოვებდი, უამრავი სათამაშო ვუყიდე და ძლებდა, ყველაფერი ჰქონდა. მოვედი და... აბაზანაში დამხვდა წაქცეული. უკვე გარდაცვლილი იყო, სავარაუდოდ, ლიმონათი ეგონა, მოიყუდა და პირდაპირ დალია. ორი დღე ვტიროდი მიცვალებულს, მერე კი... მერე სკვერში დავტოვე. არ ვიცოდი, სად უნდა წამეყვანა, ხომ არ გადავაგდებდი“, – განაცხადა ქალმა.

სასამართლომ, ბავშვის გატაცების ბრალდებით, მას 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მკველობის მუხლით ბრალი არ წაუყენეს... დაუსჯელები დარჩნენ საყვარლებიც, რადგან მათ დანაშაული არ ჰქონდათ ჩადენილი. ერთი ეგაა, ბავშვობის მეგობარი ქალების ურთიერთობა დასრულდა.

ყალბი ქორწინება

გრიფით „საიდუმლო“ საქმის სკანდალური დეტალები

ბათო ჯაფარიძე

ადრე ასე იყო – ჰყავდა თუ არა მამაკაცს ცოლი, ან იყო თუ არა ქალი გათხოვილი, მარტივად გაიგებდი, თუ მის პასპორტს ჩახედავდი. პასპორტში არა მარტო ის იწერებოდა, ვისზე იყო დაქორწინებული, არამედ, შვილების დაბადების თარიღი და მათი გვარ-სახელები. ყველაფერი ეს, მკაცრად კონტროლდებოდა, სხვათა შორის, ყოფილი საბჭოთა კავშირის რამდენიმე რესპუბლიკაში, ეს პრაქტიკა დღემდე არსებობს. საქართველოში კი, ბოლო პეერიოდში, იმდენად გახშირდა ოჯახების შექმნა-დანგრევის შემთხვევები, რომ ქართულ პასპორტებში ადგილიც არ დარჩებოდა. ისე, კომუნისტების დროს, ოჯახის დანგრევა მთელი პროცესი იყო, ამხანაგური სასამართლო, სახელმწიფო დონეზე აყვანილი ტრაგედია. დიდი იყო შანსი, რომ იმ საწარმოს ხელმძღვანელი მოეხსნათ, სადაც ოჯახის დანგრევის „შემოქმედი“ მუშაობდა, აქაოდა, შენს თანამშრომელს ვერ ჩაუტარე აღმზრდელობითი გაკვეთილები და ვერ აუხსენი, რომ ოჯახი არ უნდა დაენგრიაო. ქორწინებაც ერთგვარი რიტუალი იყო, მმაჩის ბიუროში ხელმოწერით, სურათების გადაღებით, მეჯვარეებთან ერთად სავალდებულო ცეკვა-თამაშით...

მაშინ არ არსებობდა კომპიუტერული არქივები და ამიტომ, პასპორტში არსებული ჩანაწერი ქორწინების შესახებ იმას ნიშნავდა, რომ კაცს ან ქალს მეორედ დაქორწინების უფლება არ ჰქონდა, თუმცა აუცილებლობას წარმოადგენდა ისიც, რომ ქორწინებაზე განაცხადი, ყველაზე ცოტა, ერთი თვით ადრე შეეტანა წყვილს და ადგილობრივ არქივში ზერელედ, მაგრამ მაინც ამოწმებდნენ, იყო თუ არა რომელიმე ქორწინებაში. ამისთვის სპეციალური კადრიც კი ჰყავდათ, რომელიც არქივში იქექებოდა და ეს ამბავი ძირითადად წარუმატებლად სრულდებოდა – არავინ რისკავდა, ერთხელ თუ იყო ქურწინებაში, მეორედაც ექორწინა. ეს სისხლის სამართლის დანაშაული გალხდათ.

„ჩემი ცოლის დაქალები“ პოპულარული სერიალია და სწორედ ჩემი ცოლის დაქალი დამადგა სამსახურში, მიშველე, შვილს საქვეყნოდ თავი მოეჭრაო. მისი ქალიშვილი რომ თხოვდებოდა, ვიცოდი, ჩემი ცოლიც დაპატიჟებული იყო ქორწილში და წავიდა კიდეც, მე საქმის გამო ვერ მოვიცალე. ჰოდა, ხელმოწერის ცერემონიალზე, მმაჩის ბიუროში უთხრეს, რომ გოგონას ქორწინების უფლება არ ჰქონდა, რადგან უკვე დაქორწინებული იყო სხვა მამაკაცზე და ის სხვა... ყაზახეთის მოქალაქე გახლდათ. სასიძომ იქ ამბავი ატეხა... სადედამთილომ სარძლო ლამის თმით ითრია, გოგონა ტიროდა, რაღაც შეცდომააო, მაგრამ მისი საპასპორტო მონაცემები რომ დაუდეს წინ, გული წაუვიდა. საქმემ ისეთი ხასიათი მიიღო, რომ დედა მანამ არ დარწმუნდა შვილის სიმართლეში, სანამ ექიმთან არ წაიყვანა და „საქალწულე აპკის“ სიმრთელე არ დაადგინა. ყველაზე ცუდი ის იყო, რომ სიძე იმ საღამოს, უპატარძლო ქორწილში დათვრა, შემდეგ მანქანის საჭეს მიუჯდა და ხეს შეასკდა. ახლა, უმძიმეს მდგომარეობაში, საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში, სიკვდილს ებრძოდა, ბიჭის მშობლები კი ყველაფერში გოგოს ადანაშაულებდნენ და იმუქრებოდნენ, ეს თუ დაიღუპება, გოგოსაც ზედ მივაყოლებთო“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

სისხლის სამართლის საქმე მშობლის განცხადების საფუძველზე აღიძრა და თან მშობელი გააფრთხილეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ გოგონა მართლაც იყო ქორწინებაში და მეორედ აპირებდა დაქორწინებას, პასუხისგება მას მოუწევდა. დედა დათანხმდა, რადგან ბოლომდე იყო დარწმუნებული საკუთარი შვილის უდანაშაულობაში. პირველ რიგში, ის დოკუმენტი გამოითხოვეს, რომელშიც მითითებული იყო, რომ დაახლოებით, ექვსი თვის წინ, გოგონამ იქორწინა. გამომძიებელი მიხვდა, რომ დოკუმენტი ყალბი გახლდათ, რადგან ვითომ ხელმოწერის პერიოდი ემთხვეოდა შვებულებას, რომელშიც მისი ოჯახის წევრები, დაქალსა და მის შვილებთან ერთად, დასასვენებლად ზღვაზე იყვნენ და გოგონა იმ პერიოდში აფხაზეთში, სასტუმროში ცხოვრობდა და დედაქალაქში ვერ ჩამოვიდოდა. ამასთან ერთად, იმავე სასტუმროში ცხოვრობდა მისი მომავალი საქმრო, ის, რომელიც ახლა სიკვდილს ებრძოდა. გამომძიებელმა ბიჭის მშობლები დაიბარა, დოკუმენტი ანახა და გაახსენა, თუ სად და ვისთან ერთად იყო მათი შვილი დასასვენებლად იმ პერიოდში, რომელშიც ვითომ გოგონა გათხოვდა. მშობლები მიხვდნენ, რომ გამომძიებელი მართალი იყო, რომ გოგონას ცილი ტყუილად დასწამეს და უფლება მისცეს, საქმრო საავადმყოფში მოენახულებინა, ეგებ, მისი ხმის გაგონებამ გამოჯანმრთელების პროცესს რამე შემატოსო. ახლა ის იყო გასარკვევი, თუ ვინ გააფორმა ფიქტიური ქორწინება და რაც მთავარია, ვინ გაატარა რეგისტრაციაში. საინტერესო იყო ყაზახი მამაკაცის მოძებნაც, რომლის საპასპორტო მონაცემებიც იყო მითითებული და მოძმე რესპუბლიკაში მოთხოვნა გაიგზავნა, საიდანაც პასუხი მოვიდა – ყაზახი მოქალაქე ახლაც თავის ქვეყანაში ცხოვრობს, ჰყავს ცოლი და 6 შვილი. კანონიერი მეუღლის გარდა, სხვა ქორწინება არ უფიქსირდება. რაში სჭირდებოდა 6 შვილის მამას, სხვა რესპუბლიკის მოქალაქეს, საქართველოში ქორწინება, ვერავინ ხვდებოდა, თუმცა ყაზახმა სამართალდამცავებმა ისიც დაადასტურეს, რომ იმ პერიოდში, ქართველი ძალოვნებისთვის საინტერესო პირი, საქართველოში ერთწლიანი მივლინებით იმყოფებოდა, თუმცა მივლინების დასრულების შემდეგ, სამშობლოში დაბრუნდა და იმავე საწარმოში გააგრძელა მუშაობა, სადაც მანამდე მუშაობდა. კრიმინალურ წრეებთან მისი კავშირი არ დასტურდებოდა.

„ჩემთვის საინტერესო პიროვნების უკეთ შესასწავლად, აქაურ საწარმოში მივედი. მძიმე მრეწველობა მაშინ, საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში არ იყო განვითარებული და ამიტომ, მივლინებით ხშირად აგზავნიდნენ ადამიანებს, საქმე რომ ესწავლათ, ან პირიქით, ესწავლებინათ. ყაზახეთის მოქალაქე სასწავლებლად იყო ჩამოსული და მისი ხსენება ყველას გაუხარდა, წესიერი კაცი გახლდათ, მშვიდი, ცოტა გულუბრყვილო, მაგრამ ძალიან მონდომებულიო. ექვსი შვილის სურათი სულ თან დაჰქონდა, ცოლის სურათი კი არ ჰქონდა, ლამაზია და თვალი ეცემაო“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

კადრების განყოფიელბიდან მისი პირადი საქმე გამოითხოვეს, სადაც დანომრილ გვერდებს ერთი ფურცელი აკლდა. დაიბარეს კადრების განყოფილების გამგე და მკაცრად ჰკითხეს, რომელი ფურცელი გააქრო მან პირადი საქმიდან. გამგემ ჯერ მხრები აიჩეჩა, არ ვიციო, მაგრამ მერე, როცა მიხვდა, რომ შეიძლებოდა სისხლის სამართლის პასუხხისმგებლობა დამდგარიყო, დაიწყო:

„ჩვენს ოთხ თანამშრომელს ბინები მისცეს, ქარხანას ეკუთვნოდა, რიგში იდგნენ და სახელმწიფოსგან ერგოთ. ახალსახლობაზე ყველა ვიყავით, ჩვენი ყაზახი სტუმარიც და მას ხუმრობით შევთავაზეთ, საქართველოში თუ მოიყვან ცოლს და აქ თუ დარჩები საცხოვრებლად, ბინას შენც მოგცემენო. მერე ბინის ფასებით დაინტერესდა, უთხრეს, რომ არაოფიციალურად, მაგრამ ბინის გაყიდვა მაინც იყო შესაძლებელი, მთელი საღამო თითებზე რაღაცას ანგარიშობდა და ერთ კვირაში, ქორწინების მოწმობა მოიტანა, ვიღაც ქართველ გოგოზე უქორწინია. მაშინ აუხსნეს, რომ გაეხუმრნენ, რომ ეს არ მოხდებოდა, რომ მას ცოლ-შვილი უკვე ჰყავდა და ის უბრალოდ, ბოროტი ხუმრობის მსხვერპლი გახდა. დანაღვლიანდა, ამ საბუთის გაკეთება 500 მანეთი დამიჯდაო, თქვა და ხელი ჩაიქნია. რა თქმა უნდა, ყალბ საბუთს საქმეში ვერ ჩავდებდი, არადა, გვერდები დანომრილი იყო, დოკუმენტიც კანცელარიას გატარებული ჰქონდა და ის, უბრალოდ, გადავაგდე“...

ნელ-ნელა ყველაფერი თავის ადგილზე დგებოდა. გამომძიებლები მმაჩის ბიუროში მივიდნენ იმის გასარკვევად, თუ ვინ აიღო ქორწინების ყალბი საბუთის დამზადების სანაცვლოდ 500 მანეთი და მალევე მიაგნეს – ერთ-ერთ თანამშრომელს, რომელსაც ბეჭედთან ჰქონდა წვდომა, სულმა წასძლია და საბუთი გააკეთა. რაც შეეხება გოგონას საპასპორტო მონაცემებს, როგორც გაირკვა, ის შემთხვევით, საერთო მეგობრის სუფრაზე ნახა, გოგოს ასაკი ჰკითხა, მერე ვითომ არ დაიჯერა და გოგონამაც საკუთარი პასპორტი უჩვენა. მან კი მონაცემები დაიმახსოვრა, ხელმოწერაც შეძლებისდაგვარად მიამსგავსა და ყალბი დოკუმენტი ოფიციალურად გაატარა, მერე კი არქივში ჩადო, რომელიც არქივარიუსმა აღმოაჩინა და ოფიციალური ქორწინებისთვის მისულ გოგოს ცხვირზე ააფარა.

ყველაზე საინტერესო მაინც ამ ისტორიის ფინალი იყო. მმაჩის ბიუროს თანამშრომელი სამსახურიდან გაათავისუფლეს და 3 წლით პირობითი სასჯელი მისცეს, ქართველმა სამართალდამცავებმა ყაზახეთში ცნობა აფრინეს, რომ მათმა მოქალაქემ საქართველოში ყალბი საბუთი შეიძინა, რომ ქრთამი მისცა, მაგრამ 6 შვილის მამა იქ არავის დაუსჯია. რაც შეეხება წყვილს, ბიჭი ორ თვეში ფეხზე დადგა, თუმცა ქორწინებაზე უარი გოგონამ თქვა.

„ჩემი ცოლის დაქალის შვილმა საქმროს განუცხადა, რომ ოჯახი, პირველ რიგში, ურთიერთნდობაზე უნდა იყოს აგებული და ის არ ენდო, არ დაუჯერა სიმართლე და არ ჰქონდა გარანტია, რომ მომავალში ენდობოდა. ამიტომ, საქმროს ბეჭედი დაუბრუნა და დაემშვიდობა. ორი წელი იარა მარტოდ, ორი წელი აწუხებდა ის ბიჭი, ცოლად გამომყევიო, მაგრამ საბოლოოდ, მიაგნო თავის რჩეულს და მას გაჰყვა“, -დაასრულა მოყოლა ბატონმა თენგიზმა.

ბათო ჯაფარიძე

ქართული მხატვრული ფილმი „იმერული ესკიზები“, ალბათ, ყველას გაქვთ ნანახი. იქ ბევრი სახასიათო პერსონაჟი თუ ეპიზოდია, მაგრამ ყველაზე დასამახსოვრებელი მაინც ორი სიტყვაა – „მიცვალებული ადგა“. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მიცვალებულთა გაცოცხლება წარმოუდგენელია, მაგრამ კლინიკური სიკვდილის შემთხვევები იშვიათად მაინც ხდება. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში სხვადასხვა ეროვნებისა და, შესაბამისად, ტრადიციის ადამიანი ცხოვრობს, დაკრძალვის ცერემონია დღემდე სხვადასხვაგვარია...

ვინ იყო ქალი, რომელმაც ქალიშვილი რამდენჯერმე გაყიდა

როგორ „გაცოცხლდა მიცვალებული“ თბილისის ერთ-ერთ სასაფლაოზე – სისხლიანი კრიმინლური ამბავი

„ღამის 2 საათზე, განყოფილებაში ერთ-ერთი სასაფლაოდან დარეკეს და თქვეს, რომ მიცვალებული გაცოცხლდა და საფლავიდან ცოტა ხნის წინ ამოიყვანეს. ვინც რეკავდა, აშკარად ნასვამი იყო, მაგრამ ფაქტი უნდა გადაგვემოწმებინა და რადგან არც საქმე გვქონდა ბევრი, შემთხვევის ადგილზე ღამის მთელი განყოფილება წავედით“, -იხსენებს მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ადგილზე მისულებმა ორი უგონოდ მთვრალი მესაფლავე, ნახევრად ამოთხრილი საფლავი და იქვე მჯდომი, „საკუბოვედ გამოწყობილი“ მამაკაცი ნახეს. მამაკაცს მეტყველება უჭირდა, აშკარა იყო, შოკში გახლდათ, მესაფლავეები კი არეულად ჰყვებოდნენ რაღაცას, მაგრამ აზრის გამოტანა შეუძლებელი იყო. ამიტომ, ძალოვნებმა ყველა მილიციის განყოფილებაში გადაიყვანეს, ადგილზე რამდენიმე ოპერმუშაკი დატოვეს და გათენებას დაელოდნენ, რათა შემთხვევის ადგილიც კარგად დაეთვალიერებინათ და რაც მთავარია, გამოფხიზლებული მესაფლავეებისთვის მოესმინათ. დილით ორივე მესაფლავე ერთსა და იმავეს ჰყვებოდა:

„შუადღეს მიცვალებული მოასვენეს, ვიცოდით, რომ უნდა დაემარხათ და საფლავიც გათხრილი გვქონდა. სულ რამდენიმე კაცი იყო, მიცვალებულის კუბო დააჭედეს, საფლავში ჩაუშვეს და წავიდნენ. იმის გამო, რომ ცხელოდა, საფლავს რამდენიმე ნიჩაბი მიწა მივაყარეთ, შემდეგ დასასვენებლად წავედით, საღამოსთვის რომ ამოგვევსო. მეგობარი გვეწვია, სასმელი მოიტანა, დალევა დავიწყეთ და ღამით გაგვახსენდა, რომ საფლავი ისევ გათხრილი იყო. წამოვედით ასავსებად და ქვემოდან ხმები შემოგვესმა. ჯერ გვეგონა, გვეჩვენებოდა, მერე ყური დავუგდეთ, ვიღაც შველას ითხოვდა, თხლად დაყრილი მიწა გადავწიეთ და კუბოს სახურავი ბარით ავხადეთ, იქიდან კი ეს კაცი ამოვიდა. შეგვეშინდა, მაგრამ არ გავქცეულვართ, მილიციაში დავრეკეთ“, – ეს იყო მესაფლავეების ნაამბობი.

„დაახლოებით, ექვსი თვის წინ, ქალი შემიყვარდა. იმის მიუხედავად, რომ აზერბაიჯანელი იყო, საოცარი გრძნობა გამიჩნდა, მანამდე რომ არ მქონია არავის მიმართ. ის დედასთან ერთად ცხოვრობდა, ვუთხარი კიდეც დედამისს, თქვენი შვილი მიყვარს-მეთქი და გადაირია, ქრისტიანს სიძედ ვერ შემოვუშვებო. არადა, ქალი ქვრივი იყო, პირველი ქორწინება დიდხანს არ გაგრძელებულა, ქმარი მოულოდნელად გარდაეცვალა. შეხვედრა დავიწყეთ, ჩემთან ვხვდებოდით და საბოლოოდ, დედამისიც შეეგუა იმ აზრს, რომ ქრისტიანი სიძე უნდა ჰყოლოდა. ქორწილი არ გადამიხდია, რადგან ჩემებმა გამრიყეს, ვერ აიტანეს, რომ აზერბაიჯანელი, თანაც განათხოვარი მოვიყვანე. არც იმისიანები მოსულან, როგორც ჩვენ არ გვსურდა მუსულმანი რძალი, ისე მათ არ სურდათ ქრისტიანი სიძე. ამის მიუხედავად, ერთად ცხოვრება დავიწყეთ, ხელი მოვაწერეთ და ძალიან ბედნიერი ვიყავი. როგორ მოვხვდი საფლავში? არ ვიცი... სამსახურიდან სახლში სადილისთვის მივედი, საოცარი ხელი ჰქონდა დედასაც და შვილსაც, გემრიელ საკვებს ამზადებდნენ, ვჭამე და... მერე უკვე ის მახსოვს, რაღაც ფიცრულში რომ გავიღვიძე, სანამ არ ამომთხარეს, ვერც კი მივხვდი, რომ კუბოში ვიყავი. რა და როგორ მოხდა, არ ვიცი, როგორ მოვკვდი, ან როგორ გავცოცხლდი, ან სად არის ჩემი ცოლი... არაფერი ვიცი“, – ეს კი „მიცვალებულის“ ჩვენება გახლდათ.

რა თქმა უნდა, სამართალდამცავები მითითებულ მისამართზე წავიდნენ და შავებში შემოსილი დედა-შვილი დახვდათ. ფრთხილად გამოჰკითხეს გარდაცვლილის შესახებ და ორივემ მოთქმით ტირილი დაიწყო, სადილზე მოვიდა, მერე მოულოდნელად უგონოდ დაეცა, სასწრაფო გამოვიძახეთ, წაიყვანეს და იქიდან გარდაცვლილი გამოგვატანეს, სიკვდილის მიზეზი ნორმალურად არც გვითხრესო. გამომძიებლები გაოცდნენ, გამოდიოდა, რომ მამაკაცი საავადმყოფოში გარდაიცვალა და იქიდან ისე გამოატანეს, რომ „მიცვალებული“ არ გაუკვეთავთ. პათანატომი ახალგაზრდა გოგო იყო, მილიციის დანახვაზე დაიბნა და...

„იმ დღეს პაემანი მქონდა და ერთბაშად სამი მიცვალებული მომაყარეს. ერთი გავკვეთე, მეორე და მესამე ვერ მოვასწარი, პაემანზე მაგვიანდებოდა, ამიტომ დასკვნა დავწერე, სიკვდილის მიზეზად ერთში გულის უკმარისობა ჩავწერე, მეორეში აღარც მახსოვს და პაემანზე წავედი. რა მნიშვნელობა აქვს ოჯახისთვის, რით მოვკდა, ეს ხომ არ იყო კრიმინალური შემთხვევა, როდესაც გამოძიებისთვის ყველა დეტალი საინტერესოა“, – განაცხადა გოგონამ.

მამაკაცს სისხლის კვლევა ჩაატარეს და მის ორგანიზმში მომწამვლელი ნივთერება აღმოაჩინეს, ისეთი, რომელიც კონკრეტულ საწარმებში იყო და რომლის გატანაც უმკაცრესად კონტროლდებოდა. ერთი ეგ გახლდათ, აღნიშნული ნივთიერება შაქართან რეაქციაში შედიოდა და თუ დიდი დოზით შაქარი ჰქონდა მიღებული პირს, საწამლავი ეტაპობრივად, მაგრამ მაინც განეიტრალდებოდა და გადარჩენის შანსი ძალიან დიდი იყო. ამ პროცესში არსებობდა იმის ალბათობაც, რომ გული გაჩერებულიყო და ადამიანი გარდაცვლილად ჩაეთვალათ. დაზარალებულმა გაიხსენა, სანამ სახლში მივიდოდა, სამსახურში, ერთ-ერთი თანამშრომლის დაბადების დღე აღნიშნეს და სამი ნაჭერი ტორტი ჭამა, შოკოლადიც იყო და ძალიან მიყვარსო, გზად კი, მსუყე ნაჭრებს გადამუშავებაში რომ დახმარებოდა, ლიმონათი დააყოლა. სავარაუდოდ, სიკვდილისგან სწორედ ამან იხსნა, მაგრამ... როგორც წესი, გასვენება რამდენიმე დღეში ხდება და მამაკაცი მეორე დღეს დამარხეს. რატომ?

„იმის მიუხედავად, რომ ქრისტიანი იყო, გადავწყვიტეთ, ჩვენი წესებით დაგვემარხა ანუ გარდაცვალებიდან მეორე დღეს, მაგრამ ქრისტიანობაც გავითვალისწინეთ და კუბოში ჩავასვენეთ, ჩვენთან კუბო არ იციან. თანაც, მის დასაფლავებაზე არც ჩვენი ნათესავები მოვიდოდნენ, არც – მისი, მოკვეთლებივით ვიყავით“, – განაცხადეს დედა-შვილმა, რომლებმაც ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რომ „მიცვალებული“ ცოცხალი იყო.

პარალელურად, გამოძიება დედა-შვილზე მუშაობდა და მალევე დაადგინეს, რომ პირველი ქმარიც საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა, მეორეც. მეტიც, ისინი არ იყვნენ აზერბაიჯანელები, გვარი ჰქონდათ გადაკეთებული და სინამდვილეში, ბოშები გახლდნენ. უფრო ზუსტად, არც ნამდვილი ბოშები, მოლდაველები. ამიტომ, აზერბაიჯანულ წეს-ჩვეულებებზე საუბარი მათი მხრიდან, უბრალოდ, სისულელე იყო. ისიც გაირკვა, რომ დედა წლების წინ, ერთ-ერთ იმ საწარმოში მუშაობდა დამლაგებლად, სადაც მამაკაცის ორგანიზმში აღმოჩენილ საწამლავს აწარმოებდნენ. დედა-შვილი დააკავეს და დაკითხვაზე წაიყვანეს. გამომძიებლებს სურდათ, „გარდაცვლილის“ ეფექტიც გამოეყენებინათ და შუა დაკითხვის დროს, „მიცვალებული“ ჯერ ერთთან შეიყვანეს, მერე – მეორესთან. დედამ ემოციები მოთოკა, „სიძეს“ ჩაეხუტა, ცოცხალი ყოფილხარ, როგორ მიხარიაო, შვილმა კი ერთი შეჰკივლა და გონება დაკარგა.

„ინტუიციით ვხვდებოდით, რომ რეალური მკვლელი და ცივსისხლიანი შემსრულებელი დედა იყო, შვილს კი იყენებდა და ამიტომ, მოლაპარაკება, სწორედ შვილთან დავიწყეთ. თუ ყველაფერს აღიარებდა, მას სასჯელს მაქსიმალურად შევუმსუბუქებდით, თუ არა და, რამდენიმე ადამიანის მკვლელობასა და მკვლელობის მცდელობაში დავადანაშაულებდით, დახვრეტას მოვითხოვდით და... თან ზუსტად ვიცოდით, რომ არავინ დახვრეტდა, მაშინ ქალებს კედელთან ძალიან იშვიათად აყენებდნენ“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

„დედამ წვალებით გამზარდა, განათლება არ აქვს და თუ სადმე მუშაობდა, ყველგან დამლაგებლად. მათხოვრობაც ვცადეთ, მაგრამ ფულის უდიდესი ნაწილი სხვებისთვის უნდა მიგვეცა, ბოშების მეთაურისთვის, ბარონს ეძახიან, რომელსაც კარგად არც ვიცნობდით და არც ვაღიარებდით, რეალურად, ხომ ბოშები არ ვიყავით. მერე, როცა წამოვიზარდე, ერთ კაცს მოვეწონე, ჩემს სანაცვლოდ დედაჩემს დიდი ფული მისცა და მანაც ძაღლივით გამყიდა. იმ კაცს ჩემთან ყოფნა ისე მოეწონა, ცოლად მოყვანა დააპირა, მაგრამ დედამ უთხრა, ბოშები მოგვძებნიან და თუ ჩემი გოგოს შერთვა გინდა, გვარ-სახელები უნდა გამოგვიცვალოო. აზერბაიჯანელებად დავეწერეთ და ცხოვრება დავიწყეთ. ჩემი ქმარი შეძლებული კი იყო, მაგრამ მალევე სამსახურში რაღაც შეემთხვა და ყველაფრის გარეშე დარჩა. არ ვიცი, საიდან ჰქონდა დედას საწამლავი, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, ის კაცი მოკვდა. მისი ქონება კი დაგვრჩა, მაგრამ მხოლოდ ორი წელი გვეყო, დედა არაფერს იკლებდა. მერე მეორედ გამათხოვა, იგივე განმეორდა, ახლა მესამედ და მიხარია, რომ ბოლო ქმარი ცოცხალია“, – განაცხადა ქალმა.

სასამართლო პროცესი დიდხანს არ გაგრძელებულა. დედას 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მაგრამ მან საკანში თავი მოიკლა, არ ვარ იმისთვის მზად, 15 წელი გისოსებს მიღმა გავატაროო. მის შვილს კი 4 წლით თავისუფლების აღკვეთა ერგო და სასჯელი სრულად მოიხადა, მერე კი... როგორც აბობენ, მერე ისტორიულ სამშობლოში გაემგზავრა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები კამპანიის – „ემეგობრე პოლიციას“ ფარგლებში, ანაკლიაში, ახალგაზრდულ ბანაკში შეხვედრებს განაგრძობენ

ანაკლიაში, ახალგაზრდულ ბანაკს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორი გიორგი ოსაძე, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის კიბერ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს უფროსი ივანე კაციტაძე და სამინისტროს სხვა წარმომადგენლები ესტუმრნენ.

ახალგაზრდებთან შეხვედრა კამპანიის – „ემეგობრე პოლიციას“ ფარგლებში განხორციელდა, სადაც სტუმრებმა 200-მდე ახალგაზრდას ინფორმაცია მიაწოდეს მართლწესრიგთან დაკავშირებით მათთვის საჭირო და აქტუალურ სხვადასხვა თემაზე, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ნაადრევი ქორწინების და მისი ზიანის, ძალადობის, ბულინგის, კიბერჰიგიენის, სამართალდამცავ უწყებასთან დროული თანამშრომლობის მნიშვნელობასა და დანაშაულის პრევენციის შესახებ.

შეხვედრაზე ყურადღება სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხებზეც გამახვილდა. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. ახალგაზრდებთან შეხვედრის მიზანს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის შესახებ ცნობიერების ამაღლება წარმოადგენდა. ახალგაზრდული ბანაკი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით ფუნქციონირებს.

ვახტანგ გომელაურმა გუდაურთან, სამაშველო ოპერაციის დროს ტრაგიკულად დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო

შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური, ჯანდაცვის მინისტრ ზურაბ აზარაშვილთან ერთად, 2022 წელს, გუდაურთან მომხდარი ტრაგედიის ადგილზე იმყოფებოდა.

მინისტრმა ტრაგიკული შემთხვევის დროს დაღუპული მფრინავების, მაშველების და ექიმების ხსოვნას პატივი მიაგო. გარდაცვლილთა სულის მოსახსენიებელ პარაკლისს დაესწრნენ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეები, სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის ხელმძღვანელი პირები, ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები, მეხანძრე-მაშველები და სასაზღვრო პოლიციის მფრინავები.

ტრაგიკული შემთხვევა 2022 წლის, 29 ივლისს, გუდაურთან მოხდა. სამაშველო ოპერაციისას, სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენმა კატასტროფა განიცადა, რის შედეგადაც, ბორტზე მყოფი რვა ადამიანი – შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის მფრინავები, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მაშველები და ექიმები დაიღუპნენ. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული მფრინავები და მაშველები სამხედრო პატივით დაიკრძალნენ.

შინაგან საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილებით, ტრაგედიის დროს დაღუპული ოთხი მფრინავი და ორი მაშველი დაჯილდოვდა სამინისტროს I ხარისხის მედლით – „განსაკუთრებული დამსახურებისათვის“.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-შემეცნებითი კამპანია – „ემეგობრე პოლიციას“ ახალქალაქში გაიმართა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო შემეცნებითი კამპანიის – „ემეგობრე პოლიციას“ ფარგლებში, ახალქალაქის ცენტრალურ პარკში, საზოგადოებრივი ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიებას დაესწრნენ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძე, სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი გიორგი ბუხრაშვილი, სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის ხელმძღვანელი პირები, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე შოთა რეხვიაშვილი, სახელმწიფო რწმუნებული სამცხე-ჯავახეთში ბესიკ ამირანაშვილი და ახალქალაქის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები.

კამპანიის ფარგლებში, სხვადასხვა გასართობი და შემეცნებითი აქტივობები ჩატარდა. ღონისძიებაზე მისულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, გაცნობოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ის, მომსახურების სააგენტოს, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, საპატრულო პოლიციის, სასაზღვრო პოლიციის, საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტისა და დაცვის პოლიციის საქმიანობას. ასევე, დაათვალიერს აღნიშნული დანაყოფების აღჭურვილობა და სპეცტექნიკა.

ღონისძიებაზე მისულ სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად სხვადასხვა გასართობ და შემეცნებით აქტივობაში მიეღოთ მონაწილეობა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლებთან სამუშაო თათბირი გამართა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორთან ვაჟა სირაძესთან, მის მოადგილეებთან და ამავე დეპარტამენტის თბილისისა და რეგიონების მთავარი სამმართველოების უფროსებთან სამუშაო თათბირი გამართა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა შეხვედრაზე ყურადღება გაამახვილა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ფუნქციონალური გაუმჯობესების მიზნით განხორციელებულ მნიშვნელოვან პროექტებსა და მიმდინარე რეფორმებზე.

სამუშაო თათბირზე აღინიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს პოლიციელებისთვის სამუშაო პირობების, საპოლიციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და ავტოპარკის განახლებას.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა პირებმა შინაგან საქმეთა მინისტრს ინფორმაცია მიაწოდეს მათ სამოქმედო ტერიტორიაზე დანაშაულის პრევენციის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მიმართულებით არსებულ ვითარებაზე.

ვახტანგ გომელაურმა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლებს სამუშაო პროცესთან დაკავშირებით შესაბამისი დავალებები მისცა.

მინისტრმა მათ გაწეული ეფექტიანი საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, საგზაო უსაფრთხოების თემაზე, ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტით იმყოფებოდნენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი ვაჟა სირაძე და დეპარტამენტის სხვა მაღალი რგოლის მენეჯერები, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს (INL) მხარდაჭერით, საგზაო უსაფრთხოების თემაზე, ვიზიტით იმყოფებოდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ვიზიტის განმავლობაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ეწვივნენ კოლორადოსა და ილინოისის შტატების პოლიციის დეპარტამენტებს და ინფორმაცია მიიღეს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: საგზაო შემთხვევის ანალიზი და სტატისტიკის წარმოება; შავი წერტილების იდენტიფიცირება; ნარკო/ალკო ტესტების ჩატარების პროცედურები; სპორტული ღონისძიებების დროს უსაფრთხოების დაცვა; კინოლოგიური სამსახურის მიერ ნარკოტიკების/ბომბის აღმოჩენა და სხვა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ეწვივნენ 911-ს ოფისს და გაეცნენ საგზაო მეთვალყურეობის კამერების მუშაობის სპეციფიკას, ასევე, დაათვალიერეს მოძრავი ლაბორატორია, სპეციალური დანიშნულების მანქანები, საპატრულო მანქანები და მოტოციკლეტები.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიურო (INL) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან უკვე მრავალი წელია თანამშრომლობს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების, კიბერდანაშაულის, ოჯახში ძალადობის, ტრეფიკინგის, ტაქტიკური მომზადების, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციისა და სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებებით.

ქართული საკლუბო ფეხბურთი ფსკერზეა

ერთი შეხედვით, საქართველოს ეროვნული ნაკრები ცუდად არ ასპარეზობს და შანსიც გვაქვს, ერთა ლიგის მოგების შემთხვევაში, ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატზე მოვხვდეთ. ცუდად არ იასპარეზა საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებმაც, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ სანაკრებო დონეზე ხდება. რაც შეეხება საკლუბო ფეხბურთს, ყოველგვარი შელამაზების გარეშე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული კლუბები ფსკერზე დაეშვნენ. ჩვენს ჩემპიონატს ევროპულ საკლუბო რეიტინგში 47-ე ადგილი უკავია და ისეთი ქვეყნები გვისწრებენ, როგორებიც ფარერები, მალტა, ლუქსემბურგი, ესტონეთი და სხვები არიან. ჰო, ის ფარერები, სადაც ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელთა აბსოლუტური უმრავლესობა პროფესიონალი ფეხბურთელი არ არის და იქ კლუბები ძირითადად მეთევზეებით არის დაკომპლექტებული.

აგერ, გასულ კვირას, კონფერენს ლიგის მეორე ეტაპის მატჩები შედგა, სადაც სამი ქართული კლუბია წარმოდგენილი. ქუთაისის „ტორპედომ“ შინ ყაზახურ „ასტანასთან“ 1:4 წააგო, თბილისის „დინამო“ სტუმრად მალტის „ჰარმუნთან“ 1:2 დამარცხდა, ხოლო გორის „დილა“ ასევე სტუმრად, უკრაინულ „ვორსკლას“ დანებდა – 1:2. რაც მთავარია, წაგების გარდა, ნათლად ჩანს, რომ ქართულ კლუბებს უჭირთ კომბინაციური თამაში, ზედიზედ რამდენიმე ზუსტი პასის გაკეთება, კარში დარტყმა და ზოგადად, უჭირთ ყველაფერი, რაც თანამედროვე ფეხბურთს სჭირდება. მანამდე. ევროთასებს ბათუმის „დინამო“ დაემშვიდობა და... აგვისტოში ეროვნული ჩემპიონატი განახლდება და მერე რა? არც არაფერი, კლუბები ევროთასებზე მოსახვედრად გაეჯიბრებიან ერთმანეთს და გაისად იგვე გველის – სირცხვილი და თავის მოჭრა ევროპის მასშტაბით. საინტერესო იცით რა გახლავთ? სხვა კლუბების მწვრთნელები არ მალავენ, რომ ქართულ კლუბებთან შეხვედრა სურთ, რადგან დარწმუნებული არიან, რომ ქართულ ბარიერს გადალახავენ.

ფეხბურთში დასაქმებულები ამბობენ, როცა პრობლემებზე საუბრობთ, ეგებ გამოსავალიც მიგვითითოთ, თორემ მხოლოდ ცუდზე საუბარი ადვილიაო. გამოსავალი კი ძალიან მარტივი გახლავთ – კლუბების მფლობელებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ 3-4 კარგი ლეგიონერი ჩამოიყვანონ, ისეთი, რომლის საბაზრო ღირებულება 5-7 მილიონია, საქართველოში გაზრდილი პერსპექტიული ფეხბურთელი 17-18 წლის ასაკში არ უნდა გაყიდონ 200 თუ 300 ათას ევროდ და ამით დონე ამაღლდება. სხვაგვარად, ასეთი მაჩანჩალები ვიქნებით სულ და ათ ან ოც წელიწადში ერთხელ, რომელიმე ქართველი თუ გაიბრწყინებს, ეს საშველი არაა – ნიჭიერი ფეხბურთელები ჩვენ ყოველთვის გვყავდა და გვეყოლება, მთავარია, როგორ მოვახერხებთ მათი ნიჭის გამოყენებას.

გიორგელიძემ და მაისურაძემ ევროპის ჩემპიონატი მოიგეს

რუმინეთში, ევროპის 20 და 23-წლამდელთა ახალგაზრდულ ჩემპიონატზე, ქართველებმა ოქროს ორი მედლის მოპოვება მოახერხეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე 20-წლამდელებში – ჯერ მარიამ მაისურაძე (49კგ.) ავიდა, რომელმაც ატაცსა და აკვრაში, საერთო ჯამში, 162 კილოგრამი ასწია და პირველობა არავის დაუთმო. ამასთან ერთად, მარიამმა საქართველოს რეკორდი გააუმჯობესა როგორც აკვრაში, ისე ატაცში.

აშკარა უპირატესობით დაჩაგრა კონკურენტები გურამ გიორგელიძემ. 23-წლამდელთა შორის პირველობაზე, მან როგორც აკვრაში, ისე ატაცში, ყველა ცდა გამოიყენა და ორივე დისციპლინაშ პირველობა არავის დაუთმო, რაც ორჭიდის ჯამში ოქქროს მედლის მოპოვებას ნიშნავდა.

ბაზაძე მსოფლიოს ჩამპიონატზე ვერცხლს დასჯერდა

მოფარიკავეთა შორის, მილანში მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულდა. რეიტინგის ლიდერი სანდრო ბაზაძე ტურნირზე პირველ ნომრად იყო განთესილი და ფინალამდე დამაჯერებლად იარა, თუმცა ფინალში მას მეტოქედ ცაცია ამერიკელი, ელი დერშვიკი შეხვდა, რომელთანაც ქართველმა ვერაფერი გააწყო და 6:1:5 დამარცხდა. იმის მიუხედავად, რომ ბაზაძე ვერცხლის მედალს დასჯერდა, მან ძალიან საინტერესო რეკორდი დაამყარა – ქართველმა მოფარიკავემ ბოლო 11 ტურნირიდან 10 მედალი მოიგო ანუ კვარცხლბეკზე ათჯერ ავიდა.

მართალია, სანდრო მსოფლიოს ჩემპიონობას ვერ შესწვდა, მაგრამ შარშანდელი შედეგი მაინც გააუმჯობესა – შარშან გამართულ მსოფლიო პირველობაზე, ბაზაძე მესამეიყო.

მედალი თუ ღირსება – ხარლანმა მეორე არჩია

უკრაინელი მოფარიკავე ოლგა ხარლანი მსოფლიოს ოთხგზის და ასევე, ოლიმპიადის ოთხგზის გამარჯვებულია. ფარიკაობის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო სპორტსმენი ახლაც მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოდიოდა, პირველ ნომრად იყო განთესილი და უმთავრეს ფავორიტადაც ითვლებოდა, თუმცა...

პირველ შეხვედრაში ხარლანმა რუსი მეტოქე, ანა სმირნოვა მარტივად დაამარცხა. ფარიკაობის საერთაშორისო წესების თანახმად, შეხვედრის დასრულების შემდეგ, მოფარიკავეები ვალდებულნი არიან, მეტოქეს ხელი ჩამოართვან. წესისამებრ, სმირნოვა ხარლანისკენ დაიძრა ხელის ჩამოსართმევად, მაგრამ უკრაინელმა მოფარიკავემ მეტოქეს ხელის ნაცვლად, გაშიშვლებული დაშნა დაახვედრა და აიძულა, უკან გაბრუნებულიყო. რუსულმა დელეგაციამ ეს ჟესტი გააპროტესტა და ერთსაათიანი მსჯელობის შემდეგ, ხარლანს დისკვალიფიკაცია მისცეს, გამარჯვება კი სმირნოვას ჩაეთვალა.

სიგუამ „ბაზელთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა

18 წლის გაბრიელ სიგუა დიდ ფეხბურთში შარშან გამოჩნდა. თბილისის „დინამოს“ აკადემიის აღზრდილმა ფეხბურთელმა სპეციალისტების ყურადღება მაშინვე მიიპყრო და ბევრმა აღნიშნა, რომ სიგუა დიდ ფეხბურთს ითამაშებდა. ისიც ითქვა, რომ ახალგაზრდა ტალანტს „დინამოში“ დიდხანს არავინ გააჩერებდა და სამწუხაროდ, ასეც მოხდა. სამწუხაროდ იმიტომ, რომ პერსპექტიული ფეხბურთელები საქართველოდან მალევე მიდიან, რაც ეროვნული პირველობის დონის ამაღლებას ხელს აშკარად არ უწყობს და ამიტომაც არის, საკლუბო რეიტინგში მაჩანჩალათა შორის რომ ვართ.

მოკლედ, სიგუა შვეიცარიის 20-გზის ჩემპიონმა „ბაზელმა“ გადაიბირა და მასთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. შვეიცარიელები კარგად ხვდებიან, რომ ქართველს დიდი მომავალი აქვს, ამიტომ გრძელვადიანი ხელშეკრულებით, თავი დაიზღვიეს და თუ მაგალითად, გაისად, რომელიმე ევროპული გრანდი მის წაყვანას მოისურვებს, ცოტა ფულის გადახდა ნამდვილად არ მოუწევს. სიგუა „ბაზელში“ 21-ნომრიანი მაისურით იასპარეზებს.

ახალი მწვრთნელი კვარაცხელიას იმედზეა – კუთხური, ჯარიმა, პენალტი

სხვა კლუბების დარად, ახალი სეზონისთვის მზადებას იტალიის ჩემპიონი „ნაპოლიც“ გადის. ახალი თავკაცის, რუდი გარსიას ხელმძღვანელობით, კლუბი ბაზაზე, დიმაროშია შეკრებილი და ინტენსიურად ვარჯიშობს. რაღა თქმა უნდა, გუნდთან ერთადაა ხვიჩა კვარაცხელიაც და ჩემპიონი კლუბის ვარჯიშებს ჟურნალისტები ყურადღებით აკვირდებიან. ყველას აინტერესებს, რას შეცვლის გარსია ტაქტიკაში, ვის დაეყრდნობა, ვისზე გააკეთებს უფრო მეტ აქცენტს და აგერ, ორიოდე დღის წინ, ჩვენთვის ძალიან საყურადღებო ინფორმაცია გავრცელდა.

„როგორც ჩანს, გარსიას გადაწყვეტილება მიღებული აქვს. ვარჯიშებზე, კუთხურების და ჯარიმების ას პროცენტს, კვარაცხელია ასრულებს. მეტიც, მას ცალკე ავარჯიშებენ მარჯვენა ფეხით თამაშის დახვეწაში და უდიდესი ალბათობით, სწორედ ქართველი შემტევი იქნება პენალტების დამრტყმელიც. ზოგადად, კვარაცხელიას სტანდარტულები კარგად გამოსდის, ახლა კი, კლუბში სტანდარტულების მთავარი შემსრულებელი ხდება“, – წერენ იტალიელი ჟურნალისტები.

შეგახსენებთ, რომ შარშან კვარაცხელიას რამდენიმე პენალტი გაუცუდდა, რის შემდეგაც სპალეტი სხვას არტყმევინებდა, მაგრამ რიგით მატჩებში და კვარამ კი არა, აგერ, რობერტო ბაჯომ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში „გამაზა“ პენალტი, მაგრამ შემდეგ კვლავ ენდობოდნენ.

არაბული ზღაპარი მბაპესთვის – ხელფასი 24 ევრო... წამში

საფრანგეთის ნაკრებისა და „პარი სენ ჟერმენის“ ფორვარდს, კილიან მბაპეს კლუბთან მოქმედი ხელშეკრულება 2024 წლის ზაფხულში ეწურება. ფეხბურთელი პარიზელებთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ აპირებს, კლუბის მფლობელებს კი სურთ, რომ ის წელსვე გაყიდონ, რადგან გაისად უფასოდ წავა. მისი შეძენის მსურველი მადრიდის „რეალია“, მაგრამ ესპანური მხარე მზადაა ერთი წელი მოითმინოს, ამით ყველაზე ცოტა, 150 მილიონი დაზოგოს და მბაპე გაისად წაიყვანოს. მღვრიე წყალში თევზის დაჭერა არაბული „ალ ჰილალის“ ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა და მბაპეს სანაცვლოდ, პარიზელებს 300 მილიონი შესთავაზა, რაც საკმაოზე მეტა დიდი თანხაა. კილიანს არაბული წინადადება სასაცილოდ არ ეყო, მაგრამ...

„მზად ვართ, ხელფასის სახით, მბაპეს წლიურად 700 მილიონი ევრო გადავუხადოთ, რაც დღეში, დაახლოებით, 2 მილიონ ევროზე მეტია“, – განაცხადეს „ალ ჰილალის“ შეფებმა და... მბაპე უკვე არაბეთშია.

როგორც ფრანგული მედია წერს, მბაპე მზადაა, არაბებთან ხელშეკრულება გააფორმოს, ოღონდ მხოლოდ ერთი წლით, ერთი წლის შემდეგ კი, ოცნება აიხდინოს და „რეალში“ გადავიდეს. რამდენად აწყობს ეს თავად „ალ აჰლის“, ვერ გეტყვით, მაგრამ... წლიურად 700 მილიონი ევრო ძალიან, ძალიან ბევრი გვგგონია.

ბუდაპეშტის გრან-პრიზე, უძლიერესი შემადგენლობით

4-6 აგვისტოს, უნგრეთის დედაქალაქში, ძიუდოისტთა მორიგი გრან-პრი გაიმართება. ტურნირი პრესტიჟულია და როგორც წესი, იქ ყველა ძლიერი ძიუდოისტი ჩადის. ჰოდა, ბუდაპეშტის გრან-პრიზე, საქართველოს ნაკრებიც უძლიერესი შემადგენლობით მიემგზავრება და რაღა თქმა უნდა, მედლების მოლოდინში ვართ. სანაკრებო სია ასე გამოიყურება:

-60კგ. – ლუხუმ ჩხვიმიანი, გიორგი სარდალაშვილი, თემურ ნოზაძე;
-66კგ. – ვაჟა მარგველაშვილი;
-73კგ. – ლაშა შავდათუაშვილი, გიორგი ტერაშვილი;
-81კგ. – ტატო გრიგალაშვილი;
-90კგ. – ლაშა ბექაური, ბექა ღვინიაშვილი;
-100კგ. – ვარლამ ლიპარტელიანი, ილია სულამანიძე, ონისე სანებლიძე;
+100კგ. – გურამ თუშიშვილი, გელა ზაალიშვილი, საბა ინანეიშვილი
-57კგ. – ეთერ ლიპარტელიანი;
+78კგ. – სოფიო სომხიშვილი.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა თანამედროვე სწრაფმავალი სამაშველო კატარღები შეიძინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა სამაშველო ოპერაციების ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით, ოთხი ერთეული სწრაფმავალი სამაშველო კატარღა შეიძინა, რომელთა გადმოცემა ეტაპობრივად განხორციელდება.

პირველი კატარღის გადმოცემის ღონისძიება ბათუმში, სამაშველო განყოფილების ტერიტორიაზე გაიმართა.

ღონისძიებას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი თეიმურაზ მღებრიშვილი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი ალექსი ახვლედიანი და აჭარის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი გრიგოლ ბესელია ესწრებოდნენ.

სტუმრებმა სამაშველო განყოფილების განახლებული ინფრასტრუქტურა დაათვალიერეს და წყალში კატარღის შესაძლებლობები გამოსცადეს.

კატარღა აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით. მასზე დამონტაჟებულია წყლის ფსკერის სკანირებისა და ცეცხლის ქრობის საშუალებები, რაც მეტად ეფექტურს გახდის და მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს, როგორც სამაშველო-საძიებო, ასევე სახანძრო ოპერაციებს.

სასამართლომ სერჟანტ როინ შავაძის მკვლელობის საქმეზე დაკავებულებს პატიმრობა შეუფარდა

სერჟანტ როინ შავაძის უკანონო დაკავებასა და განზრახ მკვლელობის საქმეზე დაკავებულ პირებს თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

აღნიშნული გადაწყვეტილებით სასამართლომ ბრალდების მხარის შუამდგომლობა დააკმაყოფილა, რომელიც ბრალდებულების მიმართ პატიმრობის შეფარდებას ითხოვდა. განსხვავებული პოზიცია ჰქონდა დაცვის მხარეს. ადვოკატ ბექა ბასილაიას თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფები დამნაშავეები არ არიან და, შესაბამისად, აღკვეთის ღონისძიების შეფარდების არანაირი საფუძველი არ არსებობს.

ცნობისთვის, თავდაცვის სამინისტროს ბრიგადის სერჟანტის, 2008 წლის აგვისტოს ომის მონაწილის, როინ შავაძის უკანონო დაკავების, განზრახ მკვლელობისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა ათი პირის მიმართ დაიწყო, მათგან რვა პირი დაკავებულია, ორი პირის – იმჟამინდელი კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოს უფროსის, თეიმურაზ პატარიძისა და ყოფილი სპეცრაზმელის, გიორგი არაბულის მიმართ კი ძებნა გამოცხადდება.

ბრალდებული პირების სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემას სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება დაედო საფუძვლად, რომლის მიხედვითაც, „შავაძე საქართველოს წინააღმდეგ“ ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის, კერძოდ – სიცოცხლის უფლების, როგორც პროცედურული, ასევე არსებითი ნაწილის დარღვევა დადგინდა. აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულებაზე და გამოძიების მსვლელობაზე ზედამხედველობას ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი ახორციელებდა.

პროკურატურის ინფორმაციით, საქმე ეხება 2008 წელს მომხდარ ფაქტს, რა დროსაც, როინ შავაძეს „კუდ-ის“ თანამშრომლები, ბათუმის ერთ-ერთ კაფეში, ჯერ კონდახებით გაუსწორდნენ, შემდეგ კი უმწეო მდგომარეობაში მყოფი, ქობულეთისა და გურიის საზღვართან, მრავალჯერადი გასროლით მოკლეს.

ბრალდებულების მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით (ჯგუფურად ჩადენილი, დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის განზრახ მკვლელობა), სსკ-ის 147-ე მუხლის მე-3 ნაწილით (განზრახ უკანონო დაკავება, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია) და სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი ძალადობით ან იარაღის გამოყენებით და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით) დაიწყო.

სისხლის სამართლის საქმეზე, გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე (განზრახ მკვლელობა), სსკ-ის 147-ე (განზრახ უკანონო დაკავება) და სსკ-ის 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) მუხლებით.

პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, სასამართლომ „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმოს“ ყოფილი დირექტორი და ამავე საწარმოს ყოფილი ბუღალტერი დამნაშავედ სცნო

ბათუმის საქალაქო სასამართლომ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით თანხების მითვისების, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, სამსახურებრივი სიყალბისა და ყალბი საგადასახადო დოკუმენტის ჯგუფურად დამზადება-გამოყენების ფაქტებზე, ორი პირი დამნაშავედ სცნო.

ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

„ბათუმის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით თანხების მითვისების, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, სამსახურებრივი სიყალბის და ყალბი საგადასახადო დოკუმენტის ჯგუფურად დამზადება-გამოყენების ფაქტებზე, ორი პირი დამნაშავედ სცნო.

სასამართლო პროცესზე დადასტურდა, რომ „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმოს“ ყოფილმა დირექტორმა და ამავე საწარმოს ბუღალტერმა, სხვადასხვა დროს, ქედის მუნიციპალიტეტის მიერ ამბულატორიული მომსახურების პროგრამისთვის გათვალისწინებული თანხები, სარგებელის მიღების მიზნით, უკანონოდ გადარიცხეს თავიანთ საბანკო ანგარიშებზე, რის შედეგადაც საწარმოს ყოფილმა დირექტორმა – 97 933 ლარი, ხოლო ყოფილმა ბუღალტერმა – 22 035 ლარი მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისეს.

„ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმოს“ ყოფილი დირექტორი სასამართლომ დამნაშავედ სცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისება, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ), სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადება-გამოყენება ჯგუფურად), სსკ-ის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) და სსკ-ის 341-ე მუხლით (სამსახურებრივი სიყალბე) წარდგენილ ბრალდებებში და სასჯელის სახედ და ზომად 7 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

რაც შეეხება ამავე საწარმოს ყოფილ ბუღალტერს, იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებულმა ითანამშრომლა გამოძიებასთან, ხელი შეუწყო მტკიცებულებების მოპოვებას და სრულად აანაზღაურა სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანი, მასთან საპროცესო შეთანხმება გაფორმდა“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

კიბოს მკურნალობის ეფექტიან მეთოდს მიაგნეს



სწავლულებმა, ჰარვარდის სამედიცინო სკოლიდან, თავის ტვინის სიმსივნეების მკურნალობის ახალი მეთოდი შეიმუშავეს. პაპილარული კრანიოფარინგიომას წინააღმდეგ თერაპიამ, სიმსივნის ზომების შემცირებაში, უპრეცედენტოდ წარმატებული შედეგი აჩვენა. კვლევაში 16 პაციენტი იყო ჩართული, მათგან 15-მა დაასრულა თერაპიის 28-დღიანი ციკლი პრეპარატ ვემურაფენიბისა და კობიმეტინიბის კომბინაციით. ოთხი ციკლის შემდეგ, სიმსივნის ზომები 68%-დან 99%-მდე შემცირდა. ექსპერიმენტული თერაპიის შემდეგ, შვიდ პაციენტს სხვა არანაირი მკურნალობა არ ჩატარებია. ორი წლის განმავლობაში, მათში არ გამოვლენილა სიმსივნის პროგრესირების არავითარი ნიშანი. მკურნალობისას, არც ერთ პაციენტთან არ ყოფილა შემთხვევა, რომ წარმონაქმნები ზომაში გაზრდილიყო და არც ვინმე გარდაცვლილა. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ საჭიროა დამატებითი კვლევები თერაპიის ციკლების ოპტიმალური რაოდენობის დასადგენად. ჩვეულებრივ, პაპილარულ კრანიფარინგიომას ოპერაციითა და სხივური თერაპიით მკურნალობენ. თუმცა, სიმსივნის ბოლომდე ვერამოიკვეთისა და ტოქსიკური დასხივების შედეგად, შესაძლოა, პაციენტმა მხედველობა ან მეხსიერება დაკარგოს.

პოლიტიკოსი უშარვლოდ დარჩა

მექსიკელი პოლიტიკოსი, ხავიერ ბორერო კურიოზულ სიტუაციაში აღმოჩნდა – ერთ-ერთი საჯარო გამოსვლისას, მას შარვალი ჩაეხადა. ეს მომენტი ვიდეოზე გადაიღეს და ქსელში ვირუსულად გაავრცელეს. ბორერო სიტყვით გამოსვლას იწყებდა ერთ-ერთ ოფიციალურ ღონისძიებაზე, რა დროსაც, მოულოდნელად, შარვალი ჩასძვრა. მან სასწრაფოდ გამოასწორა სიტუაცია, დაბნეულმა ბოდიშიც მოიხადა და სიტყვით გამოსვლა გააგრძელა საკუთარი ამომრჩევლების წინაშე.

შოკოლადისგან ვულკანის ასლი დაამზადეს

ჩილელმა კონდიტერებმა ადგილობრივი ღისრშესანიშნაობის – ვულკან ვილიარიკის ტკბილი ასლი დაამზადეს. ესაა შოკოლადის მთა, რომლის წონაც 800 კილოგრამია. ფართო საზოგადოებისთვის ჩვენებამდე, ვულკანის ნამდვილი ამოფრქვევაც კი მოაწყვეს. ვილიარიკი მეტად პოპულარულია სპორტის ზამთრის სახობების მოყვარულებში – მის ფერდობებზე რამდენიმე კურორტია გაშენებული. ექსტრემალური გართობის ფანატიკოსებისთვის უჩვეულო ატრაქციონსაც აწყობენ – ბანდი-ჯამპინგს, რაც მოქმედი ვულკანის კრატერში გადახტომას ნიშნავს.

ფეკალიებს დნმ-ის ანალიზით შეებრძოლებიან



საფრანგეთში, ძაღლების მფლობელებს დაავალდებულებენ, ოთხფეხა მეგობრის „გენეტიკური პასპორტი“ გაიფორმონ და გასეირნებისას, ყოველთვის თან იქონიონ. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ ქუჩებში ცხოველების ექსკრემენტებს შეებრძოლონ. ამიერიდან, ქალაქ ბეზიეში, ძაღლის ფეკალიებს, რომლებსაც ტროტუარზე იპოვიან, ლაბორატორიაში ანალიზისთვის გაგზავნიან. პოლიცია მონაცემებს ერთიან რეესტრში გადაამოწმებს და ამ გზით გამოავლენს ძაღლს, რომელსაც ეს ფეკალიები ეკუთვნის, პატრონს კი, ჯარიმის სახით, ქუჩის დასუფთავებისთვის საჭირო თანხას – 122 ევროს გადაახდევინებენ. ექსპერიმენტი იმ ადამიანების გამოსავლენად, რომლებიც საკუთარი ძაღლების ფეკალიებს არ იღებენ, ორ წელიწადს გაგრძელდება. თუ ის წარმატებული აღმოჩნდება, მომავალშიც გააგრძელებენ და სხვა ქალაქებშიც დანერგავენ.

სიცხის გამო „სიესტას“ ითხოვენ

გერმანიის ჯანდაცვის მუშაკთა ასოციაცია მოუწოდებს მთავრობას, გამოიყენოს იტალიელების, ასევე სამხრეთის სხვა ქვეყნების გამოცდილება და „სიესტა“ – შუადღის დასვენება შემოიღოს. „ახლა, ეს აუცილებელია, როცა გარეთ აუტანელი სიცხეებია. დილით ადრე ადექით, იმუშავეთ და შუადღით დაისვენეთ“, – ამბობენ ჯანდაცვის სპეციალისტები, და ამტკიცებენ, რომ ადამიანებს ძლიერ სიცხეში პროდუქტიულად მუშაობა არ შეუძლიათ, ცუდი ძილი კი ყურადღების კონცენტრაციას ვნებს.

ეს ინიციატივა მოიწონა გერმანიის ჯანდაცვის მინისტრმა, რომელსაც მიაჩნია, რომ „სიესტა“ კარგი იდეაა. დამსაქმებელთა ასოციაციაც მზადაა, განიხილოს ინიციატივა. ივლისში, გერმანიაში, როგორც მთელ ევროპაში, საკმაოდ მაღალი ტემპერატურა დაფიქსირდა. ბავარიაში კი, საერთოდაც, რეკორდული ტემპერატურა – 38.8 გრადუსი დაფიქსირდა.

ჩნევის სამკურნალო პომიდორი გამოიყვანეს

ამომავალი მზის ქვეყანაში, გაყიდვაში გამოვიდა პომიდორი შესწორებული გენომით – მასში ხუთჯერ მეტი გამა-ამინომჟავებია. ის არტერიულ წნევას აქვეითებს და გულის რიტმს ანელებს. ამგვარად, ახალი პომიდორი ადამიანებს წნევის დარეგულირებაში უნდა დაეხმაროს. ახალ ჯიშს Sicilian Rouge High GABA უწოდეს. ის კუმამოტოს პრეფექტურაში მოჰყავთ. აღსანიშნავია, რომ პომიდორი შესწორებული გენომით, პირველი პროდუქტია იაპონიის ბაზარზე. გენმოდიციფირებული ბოსტნეულისგან ის იმით განსხვავდება, რომ მის დნმ-ში არ არის ხელოვნური გენი. პომიდორი CRISPR/Cas -ის ტექნოლოგიის დახმარებით გამოიყვანეს.

დუეინ ჯონსონი რეკორდულ ჰონორარს მიიღებს

ცნობილი ამერიკელი მსახიობი, დუეინ ჯონსონი კინემატოგრაფის ისტორიაში ყველაზე დიდ ჰონორარს მიიღებს. მიმავალ კომედიურ ფილმში როლისთვის, მას 50 მილიონ დოლარს გადაუხდიან. აქამდე რეკორდული იყო რობერტ დაუნი-უმცროსის 40-მილიონიანი ჰონორარი ფილმისთვის – „პირველი შურისმაძიებელი: დაპირისპირება“ და უილ სმიტის ასევე 40-მილიონიანი ჰონორარი ფილმისთვის – „მეფე რიჩარდი“. დუეინ „სკალა“ მონაწილეობას მიიღებს სადღესასწაულო კომედიაში „წითელი“, რომელსაც სტრიმინგული სერვისი Amazon Prime Video გადაიღებს. ჯონსონთან ერთად, ახალ სურათში დაკავდებიან კრის ევანსი, ჯეი ქეი სიმონსი, ლუსი ლიუ, ნიკ კროლი და სხვები. ჯერჯერობით, ფილმის სიუჟეტი უცნობია, ჯონსონი მეთაური კალუმ დრიფტის როლს შეასრულებს, რეჟისორი კი ჯეიკ კასდანი იქნება.

ხორცს ბუმბულისგან იღებენ

სან-ფრანცისკოში მდებარე კვების პროდუქტების კომპანიამ – Just, ქათმის ბუმბულიდან აღებული უჯრედებისგან ხორცის მიღების მეთოდი შეიმუშავა. ხორცის წარმოების ასეთი მეთოდი წერტილს დაუსვამს წარმოებისთვის ცხოველებისა და ფრინველების ყოლას და გარემოს მისი ზემოქმედებისგან დაიცავს, – მიაჩნიათ იდეის ავტორებს. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ უჯრედებს ქათმის ბუმბულიდან იღებენ და ცილის მეშვეობით, მცირე ზომის ბიორეაქტორში ათავსებენ. მაგალითად, ქათმის ჩხირების მოსამზადებლად საჭირო ხორცის მისაღებად, დაახლოებით, ორი კვირა იქნება საჭირო. ჯერჯერობით, ასეთი პროდუქტი არსად იყიდება, თუმცა კომპანიის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ უკვე წლის ბოლოს, რეაქტორში გამოყვანილ ხორცს სან-ფრანცისკოს ზოგიერთ რესტორანს მიაწვდის.

ეკოლოგიური საათი შექმნეს

ინდონეზიურმა კომპანია – Mycotech, მსოფლიოში პირველი ეკოლოგიურად სუფთა საათი შექმნა, რომლის სამაჯური სოკოსგანაა დამზადებული, კორპუსი კი ხისაა. ყველა მასალა, რომელიც საათისთვის გამოიყენეს, გარდა მექანიზმისა, ადვილად იხრწნება ბუნებაში. სამაჯურის შესაქმნელად სპეციალისტებმა სასოფლო-სამეურნეო ნარჩენები და სოკო-მიცელიუმი გამოიყენეს. ზრდისას სოკოს ფესვები ძაფებივით ეხვევა ნარჩენებს, ავსებს მათ შორის სიცარიელეს და ზედაპირზეც ეფარება. ბუნებრივი წებოვნების წყალობით კი მასის შიგთავსში მჭიდროდ ეკვრის ერთმანეთს. დაპრესვის შემდეგ, ის უკვე ერთი მთლიანი მასალაა, საბოლოო პროდუქტი ნატურალურ ტყავს ჰგავს და იგივე თვისებები აქვს.

ტყავის ტრადიციულ წარმოებაში, ადამიანისთვის საშიშ ქიმიურ დანამატებსა და საღებავებს იყენებენ, ტყავის წარმოებისას გამოყენებული წყალი შემდგომ წყალსატევებში ჩაედინება და აბინძურებს გარემოს. ინდონეზიელების ინივაციურ ტექნოლოგიას კი ასეთი ნაკლი არ აქვს. მისი კიდევ ერთი უპირატესობა სისწრაფეა. სოკოების გამოსაყვანად სულ ხუთი დღეა საჭირო, ნატურალური ტყავის დასამზადებლად კი, სულ მცირე, ორი წელი, თან პირუტყვის მოვლაც აუცილებელია.

ბადრიჯანი დაავადებებისგან გვიცავს

სწავლულები აცხადებენ, რომ ბადრიჯანი განსაკუთრებულად სასარგებლო პროდუქტია. ის ერთდროულად რამდენიმე დაავადებისგან გვიცავს. ეს ბაღჩეული კულტურა დიდი რაოდენობით შეიცავს ანტიოქსიდანტებს – ნივთიერებებს, რომლებიც ორგანიზმს თავისუფალი რადიკალებისგან იცავენ. ეს უკანასკნელი არღვევს უჯრედის სტრუქტურას, აჩქარებს დაბერების პროცესს და ხელს უწყობს სიმსივნის განვითარებას. კვლევების დადასტურებულია, რომ ბადრჯანში შემავალი ნივთიერება SRG კლავს სიმსივნურ უჯრედებს, აქვეითებს ქოლესტერინის დონეს სისხლში, აფერხებს გულსისხლძარღვთა დაავადებების განვითარებას. ამ მელნისფერ ბოსტნეულს დღეგრძელობის პროდუქტსაც უწოდებენ, რადგან გულსისხლძარღვთა სისტემის მუშაობაში მისი დადებითი როლი გამორჩეულია. ბადრიჯანი მდიდარია უჯრედისით, პექტინითა და ცილებით. ის შეიცავს კალიუმს, კალციუმს, ფოსფორს, რკინას, მაგნიუმს, ნატრიუმს, „ცე“, „ბე“ და „პე“-ჯგუფის ვიტამინებს.

გზა გადამუშავებული პლასტმასისგან გააკეთეს

ნიდერლანდებში, ქალაქ ზვოლეში, სატესტო რეჟიმში, ველობილიკი გაიხსნა, რომელიც გადამუშავებული პლასმასისგან გააკეთეს. საფარი გადამუშავებული ბოთლების, ერთჯერადი ჭიქებისა და შესაფუთისგანაა დამზადებული. ველობილიკი საცდელი ვარიანტია იმ პროექტისა, რომლის ფარგლებშიც, მთელი ქვეყნის მასშტაბით იგეგმება მსგავსი გზების მშენებლობა. 30-მეტრიანი ბილიკი, ვარაუდობენ, რომ უფრო გამძლე იქნება, ვიდრე ასფალტის გზა. პოლიეთილენის ნარჩენებისგან დამზადებულ ბილიკზე სენსორებიცაა დამონტაჟებული, რომლებიც სხვადასხვა მონაცემებს აგროვებენ, მაგალითად, დღის სხვადასხვა მონაკვეთში დაფიქსირებულ ტემპერატურას, თუ მასზე გავლილი ველოსიპედების რაოდენობას. გარდა ამისა, ახალი გზა ასაწყობია, ის მსუბუქია და მისი ტრანსპორტირება საკმაოდ ადვილია. ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ მისი დამონტაჟება-აწყობა 70%-ით უფრო სწრაფია.

ზღვისპირა კურორტზე შიშველი ტორსი აკრძალეს

იტალიის პოპულარულ ზღვისპირა ქალაქ სორენტოში, ქუჩებში შიშველი ტორსით სიარული აკრძალეს, როგორც პერანგის გარეშე, ასევე – საცურაო კოსტიუმებში. წესების დამრღვევებს 25-დან 500 ევრომდე ჯარიმა ელით. სორენტოს მერის, მასიმო კოპოლას თქმით, ასეთი გადაწყვეტილება იმის გამო მიიღეს, რომ ნახევრად შიშველი დამსვენებლები, საკუთარი გარეგნობით, დისკომფორტს უქმნიან ადგილობრივ მოსახლეობას და სხვა ტურისტებსაც. ეს კი, თავის მხრივ, ნეგატიურად აისახება ქალაქის ცხოვრებაზე, მის იმიჯსა და ტურისტულ ბიზნესზე.

ჩინოვნიკებს გაღიმება დაევალათ

ფილიპინების ქალაქ მულანაის მერმა, არისტოტელ აგირემ დადგენილება გამოსცა, რომლის მიხედვითაც, ადგილობრივ ჩინოვნიკებს სამუშაო ადგილზე გაღიმება დაევალათ. ამასთან, თუ რომელიმე მის ქვეშევრდომს სამსახურში სევდიანი გამომეტყველებით მჯდომარეს აღმოაჩენენ, ეს დისციპლინარულ გადაცდომად ჩაითვლება.

„თუკი ჩვენი თანამშრომელი, ან თანამდებობის პირი, საკუთარი ქმედებით ამ მოთხოვნას არ დაექვემდებარება, ეს საკმარისი საფუძველი იქნება იმისთვის, რომ მისი ქმედება კეთილსინდისიერი მუშაობის ნორმების დარღვევად ჩაითვალოს“, – ნათქვამია მერის დადგენილებაში.

სასტუმრო წიგნების მოყვარულებისთვის

წიგნის კითხვა ბევრ ადამიანს უყვარს, თუმცა არიან ისეთებიც, რომლებსაც არ შეუძლიათ დაიძინონ, თუ წიგნის ერთი-ორ გვერდს მაინც არ გადაფურცლავენ. სწორედ ასეთი ადამიანებისთვის გაიხსნა ტოკიოში სასტუმრო – Book and Bed („წიგნი და საწოლი“). ეს იდეალური ადგილია იმისთვის, რომ საკითხავთან ჩახუტებულმა დაიძინო. ასეთი სასტუმროს იდეა ფირმის Suppose Design დიზაინერებს ეკუთვნით. სასტუმროში ორი სახის ნომრებია – კომპაქტური, სადაც 205X85 სმ-ის ზომის განყოფილებაა საწოლით და მეორე „სტანდარტული“ – 205X129 სმ-ის. ორივე მათგანი სივრცეს წიგნის თაროებთან იყოფს. ამ უჩვეულო სასტუმროში ღამის გატარება 3 800-დან 6 ათას იენამდე ღირს (დაახლოებით, 32-დან 50 დოლარამდე). ჯერჯერობით, სასტუმრო-ბიბლიოთეკაში მხოლოდ 1700 წიგნია იაპონურ და ინგლისურ ენებზე, თუმცა, ახლო მომავალში მისი მესვეურები აპირებენ, ის 300 ათას ეგზემპლარამდე შეავსონ.

მოსახლეობას ხორცის ნაკლებად ჭამას სთხოვენ

სპეციალისტების გათვლებით, ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, ადამიანებმა ხორციდან, თევზიდან, კვერცხიდან, რძის პროდუქტებისა და ცხოველური ცილის სხვა წყაროებიდან დღეში არაუმეტეს 350 კალორია უნდა მიიღონ. დანარჩენი 2000-ზე მეტი კალორია კი ორგანიზმმა მცენარეული პროდუქტებიდან უნდა მიიღოს. ხილსა და ბოსტნეულზე გათვლილია 720 კალორია, მარცვლეულ პროდუქტებზე – 820, მცენარეულ ცხიმზე, ნიგოზზე, პარკოსნებზე, შაქარსა და სახამებლის შემცველებზე, როგორიცაა კარტოფილი – 400 კალორია. მოსახლეობის კვებითი ჩვევების გადახედვა, სწავლულების გათვლებით, შეამცირებს ჭარბი წონით გამოწვეულ დაავადებებს და ამ მიზეზით სიკვდილიანობაც მოიკლებს. ამ გზით, 2060 წლისთვის, ყოველწლიურად, 26 მილიონი ადამიანის სიკვდილის თავიდან აცილება იქნება შესაძლებელი.

ჭარხალი ტვინს აჯანსაღებს

ბრიტანელმა სწავლულებმა ექსეტერის უნივერსიტეტიდან, ჯანმრთელობის სასარგებლო კიდევ ერთი პროდუქტი გამოიკვლიეს. ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ თუ ადამიანი რეგულარულად მიირთმევს ჭარხალს, აქტიურდება პირის ღრუს ბაქტერიების მოქმედება, რაც დადებით გავლენას ახდენს სისხლძარღვებისა და ტვინის სიჯანსაღეზე. ეს კი ხელს უწყობს ადამიანის ორგანიზმის ჯანმრთელად დაბერებას. ჭარხალი მდიდარია უჯრედისით, რაც იწვევს შაქრის მალევე შეწოვას. ასევე, ეს პროდუქტი ფოლიუმის მჟავას, „ცე“-ვიტამინის, კალიუმისა და ფოსფორის წყაროა, შეიცავს „ბე“-ჯგუფის ვიტამინებს, მინერალებს, რკინასა და იოდს. ჭარხალი მდიდარია ანტიოქსიდანტებითაც, მისი რეგულარული მოხმარება ხელს უწყობს თმის, კანისა და ფრჩხილების სიჯანსაღეს. უჯრედისის დიდი შემცველობის გამო კი, ჭარხალი უებარი წამალია შეკრულობის დროს.

ჰომეოპათია ჯანმრთელობას ვნებს

ჰომეოპათიური პრეპარატები, თავისი მოქმედებით არ განსხვავდებიან პლაცებოსგან და შესაძლოა, ორგანიზმს ზიანიც კი მიაყენონ. ამას მოწმობს ავსტრალიელი მეცნიერების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები. ექიმი-ჰომეოპათები ამბობენ, რომ მათი პრეპარატები შველის დაავადებათა ფართო სპექტრს – უბრალო გაციებიდან, ონკოლოგიურ დაავადებებამდე. მკვლევარებმა შეამოწმეს ჰომეოპათიური პრეპარატების ზემოქმედება ასთმით და ართრიტით დაავადებულებზე, ასევე მათზეც, რომლებსაც უძილობა აწუხებთ, გაციებულ და გრიპის მქონე პაციენტებზე, ქრონიკული დაღლილობის, ეგზემას, ქოლერას, დამწვრობის, მალარიისა და ჰეროინზე დამოკიდებულების დროს.

კვლევების შედეგად გაირკვა, რომ არცერთ შემთხვევაში, ჰომეოპათიურ წამლებს დადებითი ეფექტი არ გამოუვლენია. საგულდაგულოდ შემუშავებულმა კვლევებმა და მონაწილეების საკმარისმა რაოდენობამ აჩვენა, რომ ჰომეოპათია პლაცებოსგან არაფრით განსხვავდება – აღნიშნავენ სწავლულები. მათი თქმით, ადამიანები, რომლებიც კონვენციონალური მედიცინის ნაცვლად, ჰომეოპათიას ირჩევენ, საკუთარ ჯანმრთელობას დიდი რისკის ქვეშ აყენებენ. ამ შემთხვევაში, პაციენტი უარს ამბობს მიიღოს, ან დაგვიანებით იღებს იმ წამლებს, რომელთა ეფექტიანობა და უსაფრთხოება უკვე დამტკიცებულია.

ბაქტერია საწვავს გამოიმუშავებს

სწავლულების ჯგუფმა აშშ-სა და დანიის უნივერსიტეტებიდან, ბაქტერია – Streptomyce აღმოაჩინა, რომელიც ფერმენტაციის შედეგად, ავიასაწვავს გამოიმუშავებს. ბაქტერიის მეტაბოლიზმის ბუნებრივი პროცესის შედეგად, გლუკოზის ან ამინომჟავების დაშლისას, ის გამოიმუშავებს მოლეკულა Jawsamycin (ციკლოპროპანი). ჩატარებული ანალიზების მიხედვით, სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ამ მოლეკულის გარდაქმნა შეიძლება გამოყენებული იყოს თვითმფრინავების საწვავად. გარდაქმნას ფერმენტი პოლიკეტიდსინთაზა ახდენს. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ამ მეთოდით მიღებული საწვავი ბიოდიზელის მსგავსი იქნება, თუმცა აალების ტემპერატურის დასაქვეითებლად, მისი დამუშავება იქნება საჭირო. სპეციალისტების თქმით, შესაძლოა, ეს აღმოჩენა კოსმოსურ და საავიაციო სფეროში დაინერგოს.

საკუთარ დაკრძალვაზე მოილხინა

კანადელმა მამაკაცმა ქალაქ ექსტრერიდან, საკუთარ დაკრძალვაზე მოილხინა და მოკვდა. ამ უჩვეულო ისტორიას პორტალი The London Free Press აქვეყნებს. ექიმებმა 67 წლის რონ რეიდერს კუჭქვეშა ჯირკვლის კიბოს დიაგნოზი დაუსვეს. ოპერაციის გაკეთება უკვე დაგვიანებული იყო და მას პალიატიური მკურნალობა დაუნიშნეს. მომაკვდავმა კანადელმა შვილებს განუცხადა, რომ სურს, საკუთარი დაკრძალვის ცერემონიას დასწრებოდა.

„თუკი სიკვდილი გარდაუვალია და ხალხი მოვა, მინდა, მეც იქ ვიყო“, – განაცხადა რონმა. მან დამკრძალავი ბიუროს დირექტორს დაურეკა და სთხოვა საკუთარი გასვენების ორგანიზება, რომელსაც თავად, ჯერ კიდევ ცოცხალი დაესწრებოდა. „140-წლიანი მუშაობის განმავლობაში, ეს პირველი მსგავსი შეკვეთაა“, – აღნიშნა ბიუროს დირექტორმა.

წინასწარ მოწყობილ დაკრძალვას, „მიცვალებულის“ გარდა, კიდევ 350 ადამიანი დაესწრო – რონის მეგობრები, ახლობლები, უბრალოდ ნაცნობები და ჰოკეის იმ გუნდის წევრებიც კი, სადაც დიდი ხნის წინ, კანადელი თამაშობდა. „ეს დაუვიწყარი, საუკეთესო დღე იყო“, – განაცხადა რონის მეუღლემ. „გასვენებიდან“ 9 დღის შემდეგ, რონ რეიდერი ოჯახის წევრების გარემოცვაში გარდაიცვალა.

ძველ მაცივარში ქონება იპოვა

სამხრეთ კორეაში მცხოვრებმა მამაკაცმა 95 ათასი დოლარი იპოვა მეორად მაცივარში, რომელიც ინტერნეტ-მაღაზიაში შეიძინა. ახალი შენაძენის მოწესრიგება-დასუფთავების დროს, მან 2200 კუპიურა იპოვა, რაც ჯამში 110 მილიონი ვონი აღმოჩნდა, დაახლოებით, 95 ათასი ამერიკული დოლარი. ამ აღმოჩენის შემდეგ, მამაკაცმა პოლიციას მიმართა. ამჟამად, სამართალდამცავი ორგანოები მაცივრის წინა მფლობელის დადგენას ცდილობენ. თუკი ექვსი თვის განმავლობაში ძველი პატრონი არ გამოჩნდება, შესაძლებელი იქნება, თანხა მისმა მპოვნელმა წაიღოს. თუმცა, ამ შემთხვევაში, მას ნაპოვნი თანხის 22%-ის სახელმწიფოსთვის გადახდა მოუწევს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას მთელი თანხა ჩამოერთმევა.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.